# სარბიელი

სპორტული გაზეთი   გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან   პარასკევი, 13 მაისი 1994 № 24 (99)   ფასი 40 000 კუპონი


ეროვნული ბიბლიოთეკა


3 ქორწილია, ქორწილი!

გულიტმა მეორე ცოლი მოიყვანა

5 „სონიქსი" გააგანლურეს

რობინსონსაც ბედმა უმუხთლა

7 ჯემალ ცერცვაძე:





გოლები მაინც გამქონდა


## ჩერქეზიშვილი ვერავინ შეაჩერა

კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ექვსეულმა სპორტის სასახლეში გადაინაცვლა და პირველი ტური გამართა. უბადლო იყო ქვეყნის ჩემპიონი „ვითა", რომელმაც თავისი კაპიტნის, ნიკო ჩერქეზიშვილის წინამძღოლობით ხუთივე მატჩი მოიგო. ექვსეულის მეორე ტური 17 მაისს დაიწყება და საბოლოოდ გაირკვევა მედლებისთვის მებრძოლი ოთხი გუნდის ვინაობა.

გუშინ კი კვლავ ვერის ბაღის დარბაზი ახმიანდა: ქართველი ვარსკვლავები ორად გაიყვნენ და „ოლ-სტარის" ტრადიციული მატჩი გამართეს. 115:101 გაიმარჯვა გუნდმა, სადაც საუკეთესოდ აღიარებული ვახტანგ ნაცვლიშვილი თამაშობდა „კაქტუსისა" და „ვითას" სხვა ვარსკვლავების მხარდამხარ. სამქულიანების შეჯიბრში დინამოელმა შალვა ცხვედიანმა გაიმარჯვა, ჩაჭენვაში — მალხაზ ანდღულაძემ („მერანი").



## 13 წლის წინ, 1981 წლის 13 მაისს თბილისის „დინამომ" თასების თასი მოიპოვა...

## კახი და მუხრანი

ევროპის ჩემპიონატზე სამად სამი სპორტსმენით გამგზავრება და იქიდან 2 „დიდი" (ვერცხლი, ბრინჯაო) და 4 „მცირე" (1 ვერცხლი, 3 ბრინჯაო) მედლის „წამოღება", ჩვენ დღევანდელ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ და სპორტის სხვა სახეობებსაც გადავხედავთ, ნამდვილად არ გახლავთ ურიგო საქმე. სწორედ ასეთი შედეგით დაბრუნდნენ ჩეხეთის ქალაქ სოკოლოვიდან ჩვენი ძალოსნები: კახი კახიაშვილი, მუხრან გოგია და ბიძინა მიქიაშვილი. კახიაშვილისგან, როგორც ოლიმპიური ჩემპიონისგან, ბუნებრივია, ყოველთვის პირველობას ველით და სხვას მიხთვის უკადრისად მივჩნევთ. რა მოხდა?

— ვფიქრობდი, რომ ჩვენ წონაში, 91 კილოგრამში, პირველობისათვის ბრძოლა ბულგარელ ჩაკაროვთან მომიწევდა, აკვრაში მოვუგე კიდეც, მაგრამ საბოლოოდ ორივეს რუსმა ალექსეი პეტროვმა გვაჯობა. პეტროვს უშუალოდ შეჯიბრებაში პირველად შევხვდი, ფაქტია, ვერც მე და ვერც ბულგარელმა სათანადოდ ვერ შევაფასეთ მისი შესაძლებლობები — მე 400 კილოგრამი ვაჩვენე, ჩაკაროვმა — 395. პეტროვმა მართლაც კარგად „იმუშავა," ორჭიდში ზუსტად ის წონა დაძლია, რაც მე ბარსელონაში — 412,5 კილოგრამი. მე რომ კვლავ ასეთი წონით დამესრულებინა ტურნირი, ისევე უნდა ვყოფილიყავი მომზადებული, როგორც მაშინ, ბარსელონისთვის,.ეს კი, მოგეხსენებათ, მრავალ მიზეზთა გამო ასე არ იყო და ვერც იქნებოდა. არაუშავს, პეტროვს წელს ისევ შევხვდები სტამბულში, მსოფლიო ჩემპიონატზე და ვეცდები ისეთივე უპირატესობით დავამარცხო, როგორითაც ახლა წავაგე.

მუხრან გოგიას გამოსვლას მართლაც სანაქებო ეთქმის: 99 კგ-ში „დიდი" ვერცხლის მედლის ბედი მისი და ბელარუსი ოლეგ ჩირიცოს საკუთარმა წონამ გადაწყვიტა — ჩირიცო ოდნავ მსუბუქი აღმოჩნდა და მეორე ადგილი მას, მესამე კი გოგიას ერგო. ორივემ 387,5 კგ-ით დაასრულა შეჯიბრება. ქართველმა ძალოსანმა ამ წონაში კიდევ ორი, „მცირე" ბრინჯაოს მედალი მოიპოვა აკვრასა და ატაცში (210 და 177,5).

83 კგ-ში მოასპარეზე ბიძინა მიქიაშვილი 360 კგ-ით მეხუთე ადგილზე გავიდა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: ძალზე საყურადღებოა მიქიაშვილისა და გოგიას შედეგების სწრაფი და თვალნათლივი ზრდა: მიქიაშვილი წელიწადნახევრის წინ 280 კგ-ს სძლევდა, გოგიამ კი შარშან, სოფიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე 337,5 აწვენა. აშკარაა, არც კი შეიძლება მათ ახლანდელი და მაშინდელი შედეგების შედარება. რაც შეეხება კახიაშვილს, იგი გაისად წონის გამოცვლას, „დამძიმებას" აპირებს, მაგრამ 91 კილოგრამიდან 99-ში გადანაცვლება, აკი თვითონვე თქვა, მსოფლიო ჩემპიონის რანგში სურს.

## არცთუ უსახელო დებიუტი

სპილოს ძვლის ნაპირზე, აბიჯანში ჩატარდა დევისის თასის გათამაშების ერთ-ერთი ზონალური ტურნირი (III ჯგუფი), რომელშიც ითამაშეს საქართველოს, ჯიბუტის, სან მარინოს, ზამბიისა და მასპინძელთა გუნდებმა.

ჩვენმა ნაკრებმა, რომელშიც არ იყვნენ უძლიერესი ქართველი ჩოგბურთელები, გაბრიჩიძე და კაჭარავა, სამი შეხვედრა მოიგო — ჯიბუტი 3:0, სან მარინო 2:1, ზამბია 3:0, გადამწყვეტ მატჩში კი მასპინძლებთან დამარცხდა 0:3 და საბოლოოდ მეორე ადგილს დასჯერდა. საქართველოს მძლეველი სპილოს ძვლის ნაპირი გაისად უფრო ძლიერ, მეორე ჯგუფში იასპარეზებს.

## ვის გვასტუმრებს პრეზიდენტი?

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით კვინიკაძემ გვაცნობა, რომ გუშინ გერმანიის ქალაქ ვერდერიდან ტელეფონით დაკავშირებია ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და ესაუბრა საქართველოში დასავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყნის ნაკრებისა თუ საკლუბო გუნდის ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ჩამოსვლის თაობაზე. ახალკაცს უთქვამს, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება თურქეთის, დანიის, ბრემენის „ვერდერის" და სხვა ქვეყნების ნაკრებთა თუ კლუბების ხელმძღვანელობასთან. საქმეს აძნელებს ის, რომ გამორიცხულია მოლაპარაკება მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდებთან — მათ თავიანთი გეგმები აქვთ. გარდა ამისა, ევროპის ბევრ ქვეყანაში დამთავრდა ჩემპიონატები და ფეხბურთელები შვებულებას ეშურებიან. მიუხედავად ამისა, ახალკაცს იმედი აქვს, რომ მიზანს მიაღწევს.

გარდა ამისა, ახალკაცს უცნობებია საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების (16 წლამდე) ბრემენში ნათამაშები მატჩების შედეგებიც: „ვერდერის" თანატოლებთან 0:0, ფედერალური მიწის ნაკრებთან 0:1 და 0:0. ქართველი ჭაბუკები (მთავარი მწვრთნელი გაიოზ დარსაძე) კიდევ ერთ მატჩს გამართავენ ერთ-ერთ საკლუბო გუნდთან.



## ხელბურთელთა ჩემპიონატზე

სამშაბათს ხელბურთელმა ვაჟებმა საქართველოს ჩემპიონატის მესამე ფინალური ტური დაიწყეს. გუშინ გაიმართა ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა „შევარდენსა" და „მამულს" შორის. თავიდანვე ინიციატივას „შევარდენი" ფლობდა, რომელიც მერვე წუთისთვის ექვსი ბურთით გავიდა წინ. შესვენების შემდეგ „მამულმა" სამ ბურთამდე შეამცირა ანგარიშში სხვაობა — 20:23, 22:25, მაგრამ ჩემპიონებმა თავისი ლიდერის ალეკო ბოყოჩაძის ზუსტი ტყორცნების წყალობით კვლავ გაზარდეს უპირატესობა და საბოლოოდ დიდი ანგარიშით სძლიეს მეტოქეს.

სატურნირო ცხრილში 26 ქულით კვლავ პირველ ადგილზეა „შევარდენი", მას ერთი ქულით ჩამორჩება „ამირანი".

**შევარდენი — მამული 42:28 (22:14)**

**შევარდენი:** ბუთიკაშვილი, ურუშაძე (6), ჩაჩანაშვილი (7), კეკელიძე (3), თურქია (2), ბოყოჩაძე (13), ორჯონიკიძე (5), მუავანაძე (4), ტაბიძე (2), იაკობიძე, სარალიძე

**მამული:** ჯაფარიძე, უშვერიძე (4), გაბრიჩიძე (10), მჭედლიშვილი (5), ჯიაძე (2), არსენაშვილი (3), ბარათაშვილი, გოჩა მაღლაქველიძე (3), გიგა მაღლაქველიძე (1), ბარბაქაძე

10 მაისი: ამირანი — ორბი 39:32, შევარდენი — ჭაბუკთა ნაკრები 37:13; 11 მაისი: ამირანი — ჭაბუკთა ნაკრები 40:20, მამული — ორბი 31:21; 12 მაისი: ორბი — ჭაბუკთა ნაკრები 37:22

## საქართველოს ჩემპიონატი

### პირველი ჯგუფი

### კოლხეთი 2:1 ბათუმი

აბაშა, ცენტრალური სტადიონი
VIII ტური, 26 აპრილი

კოლხეთი 1913: დევაძე, თიბილაშვილი, კაკაჩია, მაჭავარიანი, გოროზია, ცომაია, ლალანიძე, ტორჩინავა, ჯულელი, დარასელია, ჩხაიძე
ბათუმი: ბალაძე, ი. მახარაძე, შანიძე, გეთია (სიხარულიძე 46, ნასუაშვილი 61) შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ყულევიშვილი, ტულუში, კანტიძე

1:0 ჯულელი (20)
1:1 მაჭუტაძე (75)
2:1 ცომაია (79)

გაფრთხილება: გოროზია
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

### იბერია 1:1 სამტრედია

ხაშური, ცენტრალური სტადიონი
VIII ტური, 26 აპრილი

იბერია: ტოგონიძე, სამხარაძე, მჭედლიშვილი, ბ. ჩადუნელი, ნარმანია (ვეშაპიძე 85), ტყემალაძე, მაჭაცარია, ბაკურაძე, მარლიშვილი, ქობელაშვილი, მინაშვილი
სამტრედია: მიქაძე, იონანიძე, გ. ვაშაკიძე, ბზიკაძე, გოგელიძე, ამაშუკელი, გოგიაშვილი, ჭყონია, ჯანაშია, ფანჩულიძე, გენძეხაძე

0:1 ამაშუკელი (84)
1:1 ქობელაშვილი (87)

მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

### გურია 4:3 ტორპედო

ლანჩხუთი ცენტრალური სტადიონი
VIII ტური, 4 მაისი

გურია: კუნჭულია, ფირცხალაიშვილი, თევზაძე, პატარაია, განიევი, ჭყონია, ნარიაშვილი, რეხვიაშვილი (იმნაძე 59), გოგოლაძე, კვინტრაძე, გამცემლიძე
ტორპედო: ნიშნიანიძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, დიდავა, ხართიშვილი, სადილიანი (უშვერიძე 15), ჯინჭარაძე, გიორგობიანი, მაღლაკელიძე (ხუჭუა 80), კვეტენაძე, ხერხაძე

1:0 კვინტრაძე (12)
2:0 რეხვიაშვილი (33)
2:1 უშვერიძე (49)
2:2 კვეტენაძე (55)
3:2 გოგოლაძე (72)
4:2 თევზაძე (83)
4:3 უშვერიძე (90)

მსაჯი: ა. წერეთელი (ჭიათურა)

### მარგვეთი 4:2 ბათუმი

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი
III ტურიდან, 4 მაისი

მარგვეთი: ნიქაბერიძე, ჩიხლაძე, გაბრიჭიძე, გიგატაძე, ლონლაძე, სუხიაშვილი, ენდელაძე (გიორგაძე 88), ხუნდაძე, მეგრელაძე, მანაგაძე, შენგელია
ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, ი. მახარაძე, ფუტკარაძე, (მუჯირი 46), შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ნასუაშვილი (შანიძე 46), ტულუში, კანტიძე

1:0 მეგრელაძე (18)
2:0 მანაგაძე (21)
3:0 ხუნდაძე (25)
3:1 კანტიძე (37)
4:1 მეგრელაძე (79 პ)
4:2 მუჯირი (86)

გაფრთხილება: ჩიხლაძე, მაჭუტაძე
გაძევება: ჩიხლაძე (30)
მსაჯი: ს. კახიანი (სამტრედია)

X ტური, 10 მაისი

### კოლხეთი 4:0 გურია
### ბათუმი 3:0 დილა
### ტორპედო 3:0 იბერია

შევარდენი 1906 — მარგვეთი არ შედგა
სამტრედია — დინამო გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 9 | 9 | 0 | 0 | 32-4 | 27 |
| კოლხეთი | 10 | 9 | 0 | 1 | 28-12 | 27 |
| სამტრედია | 9 | 5 | 1 | 3 | 13-13 | 16 |
| ტორპედო | 10 | 4 | 2 | 4 | 18-14 | 14 |
| გურია | 10 | 4 | 0 | 6 | 15-28 | 12 |
| ბათუმი | 10 | 3 | 2 | 5 | 18-15 | 11 |
| იბერია | 10 | 3 | 2 | 5 | 10-21 | 11 |
| დილა | 10 | 3 | 0 | 6 | 8-21 | 9 |
| მარგვეთი | 9 | 2 | 1 | 6 | 10-19 | 7 |
| შევარდენი | 9 | 1 | 2 | 6 | 7-13 | 5 |

### XI-XIX ადგილები

X ტური, 11 მაისი

### შუქურა 1:0 მალაროელი
### ალაზანი 3:2 მრეტები
### ოდიში 3:1 მეტალურგი
### სამგურალი 1:0 საპოვნელა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეტალურგი | 9 | 7 | 0 | 2 | 30-7 | 21 |
| სამგურალი | 9 | 6 | 0 | 3 | 13-13 | 18 |
| საპოვნელა | 9 | 5 | 0 | 4 | 12-9 | 15 |
| ალაზანი | 9 | 5 | 2 | 2 | 14-14 | 15 |
| ოდიში | 9 | 4 | 2 | 2 | 12-8 | 14 |
| შუქურა | 9 | 3 | 1 | 5 | 7-16 | 10 |
| კახეთი | 8 | 3 | 0 | 5 | 16-14 | 9 |
| მალაროელი | 9 | 3 | 0 | 6 | 13-25 | 9 |
| მრეტები | 8 | 0 | 1 | 7 | 5-15 | 1 |

### სტატისტიკა. IV-IX ტურები

| | I-X | XI-XIX | სულ | სეზონში |
|---|---|---|---|---|
| მატჩი | 31 | 22 | 53 | 234 |
| გოლი | 105 | 60 | 165 | 857 |
| საშუალო შედეგიანობა | 3,39 | 2,73 | 3,11 | 3,66 |
| მასპინძლები — სტუმრები: | | | | |
| ქულები | 64-25 | 38-26 | 102-51 | 455-218 |
| პროცენტულად | 72-28 | 59-41 | 67-33 | 68-32 |
| ბურთები | 69-36 | 38-22 | 107-58 | 547-310 |
| პროცენტულად | 66-34 | 63-27 | 65-35 | 64-36 |
| გაძევება | 1-1 | — | 1-1 | 7-13 |
| გაფრთხილება | 11-16 | 3-12 | 14-28 | 67-118 |
| პენალტი | 6-7 | 4-0 | 10-7 | 68-30 |
| გამოყენებულია | 4-5 | 1-0 | 5-5 | 52-21 |
| დიდი ანგარიში | 9 | 3 | 12 | 71 |
| „ჰეთ-თრიქი" | — | 1 | 1 | 22 |
| ფეხბურთელთა რაოდენობა | 176 | 141 | 317 | 419 |
| დებიუტანტები | 8 | 8 | 16 | 137 |

4 გოლი ერთ მატჩში გაიტანა ვარლამ კილასონიამ („მეტალურგი"). 23-ჯერ ფეხბურთელებმა 2-2 ბურთი გაიტანეს. ზედიზედ 10 მატჩი მოიგო თბილისის „დინამომ" (I ეტაპის ჩათვლით), მათ შორის ბოლო 5 მატჩი დიდი ანგარიშით. სულ მათ ამ სეზონში ჩატარებული 29 მატჩიდან 16 მოიგეს დიდი ანგარიშით.

რევაზ შენგელია

| ბომბარდირები I წრის შემდეგ | | სულ | II ეტ. |
|---|---|---|---|
| მერაბ მეგრელაძე | „მარგვეთი" | 24 | 4 |
| დავით მახარაძე | „კოლხეთი" | 20 | 6 |
| გივი ქობელაშვილი | „იბერია" | 20 | 2 |
| ვარლამ კილასონია | „მეტალურგი" | 19 | 10 |
| გიორგი ყაველაშვილი | „დინამო" | 17 | 8 |
| მიხეილ კილასონია | „მეტალურგი" | 16 | 8 |
| კახა გოგოლაძე | „გურია" | 15 | 3 |

## მრეტები დაუჩაგრავთ

„ალაზანი" — „მრეტების" მატჩზე საარაკო არაობიექტურობა გამოუჩენია მსაჯთა ბრიგადას (ა. შილაკაძე, თ. სოფრომაძე, ა. მერკვილაძე). მეორე ტაიმში, მას მერე, რაც მრეტები 2:0 იგებდნენ, მსაჯებს, რომ იტყვიან, ცენტრს იქით აღარ გადაუშვიათ მრეტების ახალგაზრდა ფეხბურთელები, თანაც არბიტრს კანფეტებივით ჩამოურიგებია მათთვის ყვითელი ბარათები, მაშინ როცა „ალაზნის" ფეხბურთელთა არასპორტული საქციელს თურმე ყურადღებას არ აქცევდა.



რეზო არველაძე და ტონი პოლსტერი

## ლეგიონერებო, შინისაკენ!

თბილისის „დინამოს" მენეჯერი უჩა მალაზონია მეექვსე თვეა გერმანიაში, ზაარბრიუკენთან ახლოს პატარა ქალაქ ნოიენკირხენში ცხოვრობს და იქ საქმიანობს. უჩა ამასწინათ ორიოდე დღით იყო ჩამოსული თბილისში და მომიყვა, რომ საგანგებოდ სწვევია კიოლნს, ზაარბრიუკენს და ტრაპიზონს, სადაც ხუთი დინამოელი ლეგიონერი თამაშობს და ბიჭებისაგანაც და კლუბების ხელმძღვანელებისაგანაც დასტურებულია მათი გამომგზავრებაზე ივნისის პირველ რიცხვებში. „კიოლნის" ცხოვრებაში რეზო არველაძეს „ქართული ელემენტები" შეუტანია — გულუხვობის, სტუმართმასპინძლობის ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის. კიოლნელ თანაგუნდელებს თავიდან არ სჯეროდათ, რომ რეზო თბილისში დაბრუნებას გადასწყვეტდა კონტრაქტის გასვლის შემდეგ, ეუბნებოდნენ თურმე: ის თუ მართლა მართალია, რასაც ტელევიზორში აჩვენებენ იქ რაღა გინდაო. რეზოს თავისი ქცევით ისეთი სიყვარული დაუმსახურებია, რომ პედანტი ევროპელებიც „გამთბარან" და ტონი პოლსტერს უთქვამს არველაძისთვის: „ახლა კი მივხვდი, რეზი, რომ შენ აუცილებლად უნდა დაბრუნდე საქართველოშიო". ტრაპიზონში ტყუპების პოპულარობაზე ალბათ ალარცაა საჭირო საუბარი, რადგან „კიჭები" უკვე ქალაქისა და გუნდის სიმბოლოებად მიაჩნიათ. წარმომიდგენია რა მოხდება ტრაპიზონში, როდესაც არველაძეები ჩემოდნებს ჩაალაგებენ. „ტრაბზონსპორმა" ბოლოსწინა ტურში ტყუპების გარეშე ვერ მოუგო სტუმრად აუტსაიდერ „ქაისერის" — 1:1. ბოლო ტურის წინ „ტრაბზონს" 56 ქულა აქვს, კვირას კი ასევე აუტსაიდერ „სარიერის" მასპინძლობს. ეს ტყუპების ბოლო ოფიციალური თამაშია „ბორდოლურჯების" მაისურით და ისინი საგულდაგულოდ ემზადებიან გამოსათხოვარი მატჩისათვის.

შელია და ქინქლაძე კარგა ხანია „ზაარბრიუკენის" წამყვანი მოთამაშეები არიან, თუმცა მათ გუნდს ბუნდესლიგაში ალზევების თეორიული შანსიღა დარჩა. შელიას საერთოდ უძლიერესად მიიჩნევენ მეორე ბუნდესლიგაში, გიორგის კი ცოტა არ იყოს არ უმართლებს — რამდენიმე მატჩი ავადმყოფობის გამო გამოტოვა, „ჰერტასთან" კი შელიას შემცვლელად გამოსულმა მეტოქის უხეშობას (სხვანაირად უჭირთ მისი შეჩერება) უხეშობითვე უპასუხა და წითელი ბარათი დაიმსახურა.

ამერიკიდანაც მივიღეთ მწირი ცნობები ვასილ მიქაშავიძისა და გიორგი ხურცილავას შესახებ. „რალი ფლაიერზმა" ჩემპიონატის პირველი მატჩი მიქაშავიძის, მეორე კი ხურცილავას გოლების წყალობით მოიგო. „ფლაიერზის" ერთ-ერთი ხელმძღვანელია ყოფილი თბილისელი ილია თუმაჯანოვი.

მამუკა კვარაცხელია

## დინამოელები ციხეში

ნუ გეშინიათ, დინამოელებს არაფერი დაუშავებიათ! საქმე ისაა, რომ ზემო ავჭალის არასრულწლოვანთა შრომა-აღმზრდელობითი დაწესებულების ახალი უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი თენგიზ კირთაძე ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია, ისეთი, „დინამოს" თამაშებს რომ არ აცდენს. ჰოდა, ბატონ თენგიზს უთხოვია „დინამოს" ხელმძღვანელობისთვის და მთელი შემადგენლობით ისინიც ეწვივნენ არასრულწლოვან მსჯავრდადებულებს და საჩუქრად სპორტული ფორმის ორი კომპლექტი და ბურთები გადასცეს. დაწესებულებაში 14-დან 18 წლამდე ასაკის 76 მსჯავრდადებულია, რომელთაც თურმე ფეხბურთი ძალიან ჰყვარებიათ და თავისუფალ დროს ხალისითაც თამაშობენ. დინამოელთა საჩუქრებით გახარებულებმა, პირობითად ლიხს იქით-აქეთელებად დაყოფილებმა იმ დღესაც ისეთი ფეხბურთი გააჩაღეს, მატჩის არბიტრი გელა ინალიშვილიც გააოცეს და გულშემატკივრი დინამოელებიც. თავიანთი კაპიტნის ხაჭაპურიძის წყალობით ლიხსიქითელებმა იძალეს და 4:0 დაწინაურდნენ, შემდეგ კი „აქეთელებმა" — თედიაშვილმა და ტექნიკურმა ელოევმა იყოჩაღეს — ორ-ორი გოლი გაიტანეს და მატჩიც ფრედ — 4:4 დასრულდა. გამომშვიდობებისას დამხვდურებმა დინამოელებს საკუთარი ხელით ნაკეთები კერამიკული ჭიქები და საყვავილეები უსახსოვრეს.

გავა დრო, ეს ბიჭები დაუბრუნდებიან საკუთარ კერას და, არა მგონია, რომელიმეს დაავიწყდეს ის ორიოდე ბედნიერი საათი, 1994 წლის 7 მაისს სახელოვანი საფეხბურთო კლუბის წევრებმა რომ აჩუქეს.

## ხსოვნის ტურნირები

აფხაზეთში გმირულად დაღუპული ბავშვთა მწვრთნელის, გია შიხაშვილის ხსოვნის ტურნირზე 1980 წელს დაბადებულ ბავშვთა 16 გუნდი ჩაება. ტურნირი სადაზღვევო კომპანია „არგანის" მიერ იქნა მოწყობილი, ამ კომპანიის ბავშვთა გუნდში მუშაობდა გია შიხაშვილი. ნახევარფინალში „მაისმა" „არგანი" დაამარცხა 3:1, „მთვარის გლობუსი-1-მა" — „მთვარის გლობუსი-2" 1:0. ფინალში „მაისმა" ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის გია ჯაკობიას (17 გოლი) გოლით დაამარცხა „მთვარის გლობუსი" და ჩემპიონი გახდა. „მაისის" პრეზიდენტია ზურაბ ლოლაძე, რომლის შვილმა გიორგიმ ფინალის საუკეთესო მოთამაშის პრიზი დაიმსახურა. არგანელმა აჩიკო შავშიშვილმა საუკეთესო მოთამაშის პრიზი მოიპოვა. საუკეთესო მეკარე მაისელი ზურა ბათიაშვილი გახდა (ამ კლუბში მეკარეთა სპეციალური მწვრთნელი ჰყავთ — დათო დუიშვილი, რომლის ნამუშევარიც სახეზეა). „მაისს" სათავეში უდგანან კოტე ჯალიაშვილი და კახი კაჭარავა. აღსანიშნავია, რომ ამ ბოლო დროს ბავშვთა პროფესიული ფეხბურთის გუნდები უფრო ხშირად აღწევენ წარმატებებს ტრადიციული სკოლების წარმომადგენლებთან შედარებით.

უდროოდ დაღუპული მეკარის, გურამ ლორთქიფანიძის სახელობის თასს მეოთხედ ათამაშებენ მისი მეგობრები მიხეილ ყაველაშვილი, გოჩა ჯამარაული, გუბაზ დოლიძე, ვასილ მაჭუტაძე და სხვანი. ტურნირი ტრადიციულად დილმის ბაზაზე ტარდება. წელსმაისში 1981 წელს დაბადებულ ბავშვთა რვა გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც ორ ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. ნახევარფინალში „ავაზამ" „დინამო" დაამარცხა — 2:0, „35-ე სკოლამ" — „იბერი" 1:0. ფინალში „35-ე სკოლამ" (მწვრთნელები გ. ავსაჯანიშვილი, ო. შენგელია) 3:1 მოუგო „ავაზას". საუკეთესო მოთამაშე გახდა ირაკლი შენგელია (35-ე სკოლა),

ცნობილი ქართველი მწვრთნელის ბორის პაიჭაძის სახელობის ტურნირს ატარებს სპორტული კლუბი „მეტეხი 91" (დირექტორი ვ. თვალჭრელიძე). 1982 წელს დაბადებულ ბავშვთა შორის 6 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში თბილისის „დინამომ" (მწვრთნელი საშა ვაშაკიძე) დაამარცხა ქუთაისის „ტორპედო" 1:0 და მთავარი პრიზი მოიპოვა. რამდენიმე დღეში დამთავრდება 1979 წელს დაბადებულ ბავშვთა ტურნირიც.

მიხეილ ქორიძე, მეტსახელად „ხულიგანა" აფხაზეთის ომში მისი პირველი დღიდანვე ჩაება და გმირულად შესწირა თავი საქართველოს ერთიანობას. მისი სახელის უკვდავსაყოფად მეორედ იმართება მინი-ფეხბურთის ტურნირი ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში. აქაც რვა გუნდი მონაწილეობდა. ფინალი მოიგო მიხეილ ქორიძის მეგობრებით დაკომპლექტებულმა გუნდმა „ხულიგანამ", რომელმაც ფინალში 9:2 დაამარცხა ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი.

## გერმანია

XXXIV ტური. 7 მაისი. ვატენშაიდი — კარლსრუე 5:1, ვერდერი — მიონხენგლადბახი 4:2, კიოლნი — აინტრახტი 2:3, დუისბურგი — ფრაიბურგი 0:2, ჰამბურგი — კაიზერსლაუტერნი 1:3, დორტმუნდი — ნიურნბერგი 4:1, ბაიერნი — შალკე 2:0, ლაიპციგი — ლევერკუზენი 2:3, შტუტგარტი — დინამო 3:0.

ტრადიციულად, ჩემპიონი ბოლო ტურში გაირკვა — ტიტული უკვე მეცამეტედ მიუნხენის „ბაიერნს" ერგო. გუნდის კაპიტანის ლოთარ მათეუსის და ბრაზილიელი ჟორჟინიოს გოლებით „ბაიერნმა" „შალკე" დაამარცხა და ქულით აჯობა „კაიზერსლაუტერნს", რომელსაც ბოლო ექვს თამაშში ქულაც არ დაუკარგია. ბოლო ტურის ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო „კარლსრუეს" განადგურება, რომელიც ბუნდესლიგიდან უკვე გავარდნილმა „ვატენშაიდმა" მოაწყო. ამასობაში ცხადაძის „აინტრახტმა" სტუმრად მოუგო რეზო არველაძის „კიოლნს" და ბოლო მომენტში შეახტა უეფას თასისკენ მიმავალ მატარებელს. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ შეცვლის „ლაიპციგს", „ვატენშაიდსა" და „ნიურნბერგს": მეორე ბუნდესლიგის ჩემპიონატი მხოლოდ 11 ივნისს მთავრდება.

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი (2) | 34 | 17 | 10 | 7 | 68-37 | 44 |
| კაიზერსლ. (8) | 34 | 18 | 7 | 9 | 64-36 | 43 |
| ლევერკუზ. (5) | 34 | 14 | 11 | 9 | 60-47 | 39 |
| დორტმუნ. (4) | 34 | 15 | 9 | 10 | 49-45 | 39 |
| აინტრახტი (3) | 34 | 15 | 8 | 11 | 57-41 | 38 |
| კარლსრუე (6) | 34 | 14 | 10 | 10 | 46-43 | 38 |
| შტუტგარ. (7) | 34 | 13 | 11 | 10 | 51-43 | 37 |
| ვერდერი (1) | 34 | 13 | 10 | 11 | 51-44 | 36 |
| დუისბურგი (დ) | 34 | 14 | 8 | 12 | 41-52 | 36 |
| მ.გლადბახი (9) | 34 | 14 | 7 | 13 | 65-59 | 35 |
| კიოლნი (12) | 34 | 14 | 6 | 14 | 49-51 | 34 |
| ჰამბურგი (11) | 34 | 13 | 8 | 13 | 48-52 | 34 |
| დინამო (15) | 34 | 10 | 14 | 10 | 33-44 | 34 |
| შალკე (10) | 34 | 10 | 9 | 15 | 38-50 | 29 |
| ფრაიბურგი (დ) | 34 | 10 | 8 | 16 | 54-57 | 28 |
| ნიურნბერ. (13) | 34 | 10 | 8 | 16 | 41-55 | 28 |
| ვატენშ. (14) | 34 | 6 | 11 | 17 | 48-70 | 23 |
| ლაიპციგი (დ) | 34 | 3 | 11 | 20 | 32-69 | 17 |

## ინგლისი

ბოლო ტურში უნდა გარკვეულიყო ის მესამე გუნდი, რომელიც „ოლდჰემთან" და „სვინდონთან" ერთად პრემიერ დივიზიონს დატოვებდა. მოულოდნელად ქვემო ლიგაში გადასახლების უფსკრულთან ყველაზე ახლოს „ევერტონი" აღმოჩნდა. იგი შინ 0:2 აგებდა „უიმბლდონთან", მაგრამ ჯერ ანგარიში გაათანაბრა, 82-ე წუთზე კი შერინგემის გოლით მოიგო, ლიგაში ადგილი შეინარჩუნა და პირველ დივიზიონში „შეფილდ იუნაიტედი" გადააბრძანა. გაისად გავარდნილების მაგივრად ითამაშებენ „კრისტალ პალასი" და „ნოტინგემ ფორესტი", მესამე საგზურს კი პირველ დივიზიონში III-VI ადგილზე გასულები ოლიმპიური სისტემით გაითამაშებენ.

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩეს. იუნ. (1) | 42 | 27 | 11 | 4 | 80-38 | 92 |
| ბლექბერნი (4) | 42 | 25 | 9 | 8 | 63-36 | 84 |
| ნიუკასლი (დ) | 42 | 23 | 8 | 11 | 82-41 | 77 |
| არსენალი (10) | 42 | 18 | 17 | 7 | 53-28 | 71 |
| ლიდსი (17) | 42 | 18 | 16 | 8 | 65-39 | 70 |
| უიმბლდ. (12) | 42 | 18 | 11 | 13 | 56-53 | 65 |
| შეფ. უენსდ. (7) | 42 | 16 | 16 | 10 | 76-54 | 64 |
| ლივერპული (6) | 42 | 17 | 9 | 16 | 59-55 | 60 |
| ქუინზ პარკი (5) | 42 | 16 | 12 | 14 | 62-61 | 60 |
| ასტონ ვილა (2) | 42 | 15 | 12 | 15 | 46-50 | 57 |
| კოვენტრი (15) | 42 | 14 | 14 | 14 | 43-45 | 56 |
| ნორვიჩი (3) | 42 | 12 | 17 | 13 | 65-61 | 53 |
| ვესტ ჰემი (დ) | 42 | 13 | 13 | 16 | 47-58 | 52 |
| ჩელსი (11) | 42 | 13 | 12 | 17 | 49-52 | 51 |
| ტოტენჰემი (8) | 42 | 11 | 12 | 19 | 54-59 | 45 |
| მანჩ. სიტი (9) | 42 | 9 | 18 | 15 | 38-49 | 45 |
| ევერტონი (13) | 42 | 12 | 8 | 22 | 42-63 | 44 |
| საუთჰემპტ. (18) | 42 | 12 | 7 | 23 | 49-66 | 43 |
| იფსვიჩი (16) | 42 | 9 | 16 | 17 | 35-58 | 43 |
| შეფ. იუნ. (14) | 42 | 8 | 18 | 16 | 42-60 | 42 |
| ოლდჰემი (19) | 42 | 9 | 13 | 20 | 42-68 | 40 |
| სვინდონი (დ) | 42 | 5 | 15 | 22 | 47-100 | 30 |

## ესპანეთი

XXXVII ტური. 7-8 მაისი. რეალ სოსიედადი — ატლეტიკი 0:0, სევილია — ალბასეტე 2:0, რეალი — ბარსელონა 0:1, სპორტინგი — სარაგოსა 0:3, სელტა — ოსასუნა 4:0, ვალენსია — ვალიადოლიდი 5:1, ლოგრონიესი — ლა კორუნია 0:2, რაიო ვალეკანო—ოვიედო 0:0, ლერიდა—ატლეტიკო 0:1, ტენერიფე— სანტანდერი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლა კორუნია (3) | 37 | 22 | 11 | 4 | 54-18 | 55 |
| ბარსელონა (1) | 37 | 24 | 6 | 7 | 86-40 | 54 |
| რეალი (2) | 37 | 19 | 7 | 11 | 60-46 | 45 |
| სარაგოსა (9) | 37 | 18 | 8 | 11 | 67-46 | 44 |
| სევილია (7) | 37 | 15 | 12 | 10 | 54-37 | 42 |
| ატლეტიკი (8) | 37 | 15 | 11 | 11 | 58-45 | 41 |
| ვალენსია (4) | 37 | 14 | 11 | 12 | 55-50 | 39 |
| ოვიედო (16) | 37 | 12 | 13 | 12 | 42-47 | 37 |
| სანტანდერი (დ) | 37 | 14 | 8 | 15 | 42-41 | 36 |
| ტენერიფე (5) | 37 | 15 | 6 | 16 | 48-54 | 36 |
| სოსიედადი (12) | 37 | 12 | 11 | 14 | 38-46 | 35 |
| სპორტინგი (13) | 37 | 15 | 5 | 17 | 42-54 | 35 |
| ალბასეტე (17) | 37 | 10 | 14 | 13 | 48-57 | 34 |
| ატლეტიკო (6) | 37 | 12 | 9 | 16 | 52-54 | 33 |
| სელტა (11) | 37 | 11 | 10 | 16 | 41-51 | 32 |
| ლოგრონ. (15) | 37 | 8 | 15 | 14 | 45-57 | 31 |
| რაიო ვალ. (14) | 37 | 9 | 13 | 15 | 40-56 | 31 |
| ვალიადოლ. (დ) | 37 | 8 | 13 | 16 | 28-51 | 29 |
| ლერიდა (დ) | 37 | 7 | 13 | 17 | 28-46 | 27 |
| ოსასუნა (10) | 37 | 7 | 10 | 20 | 31-63 | 24 |

## უეფას თასი

მეორე ფინალი. 11 მაისი

### ინტერი 1:0 კაზინო

**ინტერი:** ძენგა, ბერგომი, ფონტოლანი, იონკი, ა. პაგანინი, ბატისტინი, ორლანდო, მანიკონე, ბერტი, ბერხკამპი (მ. პაგანინი 90), სოსა
**კაზინო:** კონრადი, ლაინერი, ვებერი, ვინკლჰოფერი, ფერშტალერი, აიგნერი (შტაინერი 46), იურკევიჩი, არტნერი, მარკინიუ, ჰუტერი, ფაიერზინგერი
**გოლი:** იონკი (62)
**პირველი თამაში** 1:0



„ინტერის" კაპიტანი ჯუზეპე ბერგომი: 86 მატჩი ევროთასებზე!

# ძენგასა და ძელების წყალობით

მილანის „ინტერნაციონალეს" ბედმა გაუღიმა და გუშინწინ ბოლო ოთხ წელიწადში მეორედ დაეუფლა უეფას თასს, და თუ 1991 წელს „რომასთან" მას ეჭვქვეშ არ დაუყენებია თავისი ძლიერება, ამჯერად „ინტერი" მხოლოდ თავის მეკარესა და თავისი კარის ორივე ძელს უნდა უმადლოდეს თასის მოპოვებას. „კაზინომ" კი, მიუხედავად შთამბეჭდავი თამაშისა, გააგრძელა ავსტრიული კლუბების ტრადიცია — ჯერჯერობით არცერთ ევროპულ თასს ამ ქვეყანაში არ გამოუზამთრია.

ჯერ უცნობია, თუ როგორი მწვრთნელია 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ჯამპიერო მარინი, მაგრამ ის, რომ იგი მშვენიერი წინასწარმეტყველია, ფაქტია. ჯერ კიდევ პირველი თამაშის წინ „ინტერის" მწვრთნელმა თქვა — თასის ბედი მეორე ნახევარში გადაწყდებაო და ასეც მოხდა.

როგორც გახსოვთ, ავსტრიელებმა პირველი მატჩი ვენაში ერთობ შესუსტებული შემადგენლობით ჩაატარეს. გასული ორი კვირის მანძილზე ტრამვათა ეპიდემია არ შენელებულა და „კაზინოს" ექიმი არტურ ტროსტი მუხლჩაუხრელად ცდილობდა მოთამაშეთა ფეხზე წამოყენებას. განსაკუთრებით ლამობდა იგი ხორვატი ფორვარდის ნიკოლა იურცევიჩის გამოჯანმრთელებას და შედეგმაც არ დააყოვნა: ოთხშაბათს დილით ცხადი გახდა, რომ „კაზინოს" მთავარი იმედი ითამაშებდა, თუმცა ოტო ბარიჩი მთლად დარწმუნებული არ იყო თანამემამულის შესაძლებლობებში და იძახდა: შეიძლება რუმინელი გეორგ კრაიოვეანუ ვათამაშოო. არადა, რუმინელმა ფორვარდმა მანამდე ზალცბურგის გუნდში მხოლოდ ერთხელ ითამაშა, თუმცა კი ფრიად წარმატებით — გასულ პარასკევს „კაზინომ" ავსტრიის ჩემპიონატის მატჩში ვენის „აუსტრიას" 6:0 მოუგო.

ბოლოსდაბოლოს, იურცევიჩი გამოვიდა მოედანზე, თუმცა აღმოჩნდა, რომ ბევრი ვერაფრის გამკეთებელი იყო, ავსტრიელთა მთავარი დამრტყმელი ძალა კი, როგორც მიმომხილველები ელოდნენ, ბრაზილიელი მარკინიუ იყო. სწორედ მან ჩააკმენდინა ხმა „სან-სიროზე" მოსულ 80 ათას მაყურებელს, როცა 56-ე წუთზე საჯარიმოს გარედან დაარტყა — ბურთი ძენგას კარის მარჯვენა ძელს მოხვდა, შემდეგ მარცხენასაც გაელაქუცა და პირი მოედნისკენ იბრუნა. ეს მატჩის კულმინაცია იყო. ექვსი წუთის შემდეგ კი ყველაფერი ნათელი გახდა: ჰოლანდიელმა ვიმ იონკმა მიიღო ურუგვაელი სოსას ზუსტი პასი, ერთი მოძრაობით მოატყუა ლაინერი, მეორე შეხებით კი ბურთი კონრადს თავზე გადაუგდო — 1:0.

მანამდე კი თამაში ნერვიულად მიმდინარეობდა და ორივე გუნდს შეეძლო ანგარიშის გახსნა. მასპინძლებმა ყველაზე სახიფათოდ 30-ე წუთზე შეუტიეს, თუმცა კონრადმა ბერხკამპი არ გაახარა და ძნელი ბურთი მოიგერია. ხუთ წუთში ადი ჰუტერის შორეული დარტყმა მიზანს აღწევდა, მაგრამ ვალტერ ძენგამ არანორმალური ნახტომით ბურთი კუთხურზე გადააგდო. მეორე ტაიმის დაწყება და „კაზინოს" გააფთრებული შეტევების დაწყება ერთი იყო, მაგრამ იმ დღეს ძენგამ ყველას დაუმტკიცა, რომ იგი არა მარტო სექსუალურობით გამოირჩევა — მან ორჯერ აიღო ფაიერზინგერისა და არტნერის დარტყმები ამას მოჰყვა მარკინიუს მოჯადოებული დარტყმა და... უკვე 1:0-ზე, როცა სტუმრებმა კიდევ ერთხელ შეუტიეს, „ინტერის" მეკარემ, რომელსაც ამდენი დარტყმებისგან ალბათ ხელები ეტკინა, ორჯერ ბურთი ფეხით მოიგერია.

მოკლედ, ვალტერ ძენგას თავგანწირული თამაშისა და იონკის კინკილა, თუმცა ბრწყინვალე გოლის წყალობით „ინტერი" თასსაც დაეუფლა და აქედან გამომდინარე, შემდეგ სეზონში იმავე თასზე გამოსვლის ნებართვაც მიიღო. „მე ბედნიერი ვარ" — თქვა დენის ბერხკამპმა იმ დროს, როცა მისი თანაკლუბელი, 30 წლის ჯუზეპე ბერგომი თასს იბარებდა. ეს მატჩი „ინტერის" კაპიტანისთვის სხვაგვარადაც ღირშესანიშნავი იყო: მან 86-ეჯერ ითამაშა ევროთასებზე და ამ მაჩვენებლით იტალიის რეკორდსმენს დინო ძოფს დაეწია.

### უეფას თასის ყველა ფინალი

1958 ბარსელონა (ესპანეთი) — ლონდონი (ინგლისი) 2:2, 6:0
1960 ბარსელონა (ესპანეთი) — ბირმინგემი (ინგლისი) 0:0, 4:1
1961 რომა (იტალია) — ბირმინგემ სიტი (ინგლისი) 2:2, 2:0
1962 ვალენსია (ესპანეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) 6:2, 1:1
1963 ვალენსია (ესპანეთი) — დინამო (ზაგრები, იუგოსლავია) 2:1, 2:0
1964 სარაგოსა (ესპანეთი) — ვალენსია (ესპანეთი) 2:1
1965 ფერენცვაროში (უნგრეთი) — იუვენტუსი (იტალია) 1:0
1966 ბარსელონა (ესპანეთი) — სარაგოსა (ესპანეთი) 0:1, 4:2
1967 დინამო (ზაგრები, იუგოსლავია) — ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) 2:0, 0:0
1968 ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) — ფერენცვაროში (უნგრეთი) 1:0, 0:0
1969 ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი) — დოჟა უიპეშტი (უნგრეთი) 3:0, 3:2
1970 არსენალი (ინგლისი) — ანდერლეხტი (ბელგია) 1:3, 3:0
1971 ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) — იუვენტუსი (იტალია) 2:2, 1:1
1972 ტოტენჰემი (ინგლისი) — ვულვერჰემპტონი (ინგლისი) 2:1, 1:1
1973 ლივერპული (ინგლისი) — ბორუსია (მიონხენგლადბახი, გფრ) 3:0, 0:2
1974 ფეიენოორდი (ჰოლანდია) — ტოტენჰემი (ინგლისი) 2:2, 2:0
1975 ბორუსია (მიონხენგლადბახი, გფრ) — ტვენტე (ჰოლანდია) 0:0, 5:1
1976 ლივერპული (ინგლისი) — ბრიუგე (ბელგია) 3:2, 1:1
1977 იუვენტუსი (იტალია) — ატლეტიკი (ბილბაო, ესპანეთი) 1:0, 1:2
1978 ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — ბასტია (საფრანგეთი) 0:0, 3:0
1979 ბორუსია (მიონხენგლადბახი, გფრ)—ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 1:1, 1:0
1980 აინტრახტი (ფრანკფურტი, გფრ)—ბორუსია (მიონხენგლადბახი, გფრ) 2:3, 1:0
1981 იფსვიჩ თაუნი (ინგლისი) — აზ-67 (ჰოლანდია) 3:0, 2:4
1982 გიოტებორგი (შვედეთი) — ჰამბურგი (გფრ) 1:0, 3:0
1983 ანდერლეხტი (ბელგია) — ბენფიკა (პორტუგალია) 1:0, 1:1
1984 ტოტენჰემი (ინგლისი) — ანდერლეხტი (ბელგია) 1:1, 1:1, პ 4:3
1985 რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — ვიდეოტონი (უნგრეთი) 3:0, 0:1
1986 რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — კიოლნი (გფრ) 5:1, 0:2
1987 გიოტებორგი (შვედეთი) — დანდი იუნაიტედი (შოტლანდია) 1:0, 1:1
1988 ბაიერი (ლევერკუზენი, გფრ) — ესპანიოლი (ესპანეთი) 0:3, 3:0, პ 3:2
1989 ნაპოლი (იტალია) — შტუტგარტი (გფრ) 2:1, 3:3
1990 იუვენტუსი (იტალია) — ფიორენტინა (იტალია) 3:1, 0:0
1991 ინტერი (იტალია) — რომა (იტალია) 2:0, 0:1
1992 აიაქსი (ჰოლანდია) — ტორინო (იტალია) 2:2, 0:0
1993 იუვენტუსი (იტალია) — ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია) 3:1, 3:0
1994 ინტერი (იტალია) — კაზინო (ავსტრია) 1:0, 1:0

### ინტერი: გზა ფინალამდე

ოცდამეთორმეტედფინალი
ინტერი — რაპიდი ბუქარესტი 3:1
ბერხკამპი (3)
რაპიდი — ინტერი 0:2
ბატისტინი, იონკი
მეთექვსმეტედფინალი
ინტერი — აპოლონი კვიპროსი 1:0
ბერხკამპი
აპოლონი — ინტერი 3:3
შალიმოვი, ბერხკამპი, ფონტოლანი
მერვედფინალი
ნორვიჩ სიტი — ინტერი 0:1
ბერხკამპი
ინტერი — ნორვიჩ სიტი 1:0
ბერხკამპი
მეოთხედფინალი
ბორუსია დორტმუნდი—ინტერი 1:3
იონკი (2), შალიმოვი
ინტერი — ბორუსია 1:2
მანიკონე
ნახევარფინალი
კალიარი — ინტერი 3:2
ფონტოლანი, სოსა
ინტერი — კალიარი 3:0
ბერხკამპი, ბერტი, იონკი

### ფეხბურთის რუკასთან

გერმანულ კლუბ ფრანკფურტის „აინტრახტს" მომავალი სეზონიდან შესაძლოა ბილბაოს „ატლეტიკის" ახლანდელი მწვრთნელი იუპ ჰაინკესი ჩაუდგეს სათავეში, ამის შესახებ ორშაბათს რადიოინტერვიუში „აინტრახტის" მოთამაშემ ტორსტენ ლეგატმა ისაუბრა. ჯერჯერობით ეს ცნობა მხარეებს ოფიციალურად არ დაუდასტურებიათ, მაგრამ ცნობილია, რომ გერმანული კლუბი გაგდებული მწვრთნელის კლაუს ტოპმიოლერის შემცვლელის დასახელებას 17 მაისს აპირებს, ჰაინკესმა კი, რომელიც ამავე ორშაბათს 49 წლის გახდა, ბილბაოელთა ხელმძღვანელებს განუცხადა, რომ გუნდში დარჩენა-არდარჩენის თაობაზე თავის საბოლოო გადაწყვეტილებას 16 მაისს მოახსენებს. იუპ ჰაინკესმა სამწვრთნელო მოღვაწეობა 1979 წელს დაიწყო მიონხენგლადბახის „ბორუსიაში", სადაც ადრე წარმატებით თამაშობდა. რვა სეზონის შემდეგ, იგი მიუნხენის „ბაიერნში" გადაბარგდა, თუმცა 1989-90 წლებში გუნდი უხეიროდ ათამაშა, რის გამოც დაითხოვეს და იგი ესპანეთს გაეშურა.

ჰოლანდიელმა ვარსკვლავმა რუუდ გულიტმა „მილანთან" ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ამრიგად გულიტი, რომელმაც ამ გუნდში ზედიზედ ექვსი სეზონი გაატარა, კვლავ ბერლუსკონის „იმპერიაში" დაბრუნდა. ახალი კონტრაქტის თანახმად 31 წლის ფეხბურთელს 1,5 მილიარდი ლირა ანუ 937 500 დოლარი ერგება. 30 აპრილს გენუაში მან განაცხადა, რომ „სამპდორიაში" ბედნიერი წელიწადი გაატარა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ყოველდღე მაინც „მილანში" დაბრუნებაზე ოცნებობდა. „ჩემთვის მილანი სხვა რამ არის, მე ის მიყვარს" — თქვა გულიტმა. „სამპდორიაში" ჰოლანდიელმა ბომბარდირის საუკეთესო თვისებები აღადგინა, „მილანი" მის გარეშეც ჩემპიონი გახდა, ოღონდ ბრწყინვალედ მომუშავე დაცვის წყალობით. „ჩემი აზრით, გასული სეზონი ყველასთვის სასარგებლო იყო — განაცხადა „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ — რუუდმა გენუის კლუბში საუცხოოდ ითამაშა და ახლა საუცხოო ფორმაში გვიბრუნდება". გულიტის საყვარელ გუნდში დაბრუნება სამშაბათს დღესასწაულად იქცა, როდესაც მილანის „სიტი ჰოლში" მან კრისტინა პენსასთან იქორწინა. მათი დიდი ხნის რომანი როგორც იქნა ქორწილით დასრულდა. „ქორწილზე ბევრი სტუმარი გვეყოლება, მაგრამ მე მსურს, რომ მან მშვიდად ჩაიაროს. ჰოლივუდის სტილში არაფერს ვგეგმავთ" — ამბობდა ბედნიერი საქმარო. 23 მაისს კი გულიტი ჰოლანდიის ქალაქ ნორდვიკში ეროვნულ ნაკრებს შეუერთდება და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოემზადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხვალ ფინალებია

ესპანეთის გარდა ყველა წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში დამთავრდა ეროვნული ჩემპიონატები და ახლა თასის მფლობელებილაა გასარკვევი. ხვალ „უემბლიზე" ინგლისის თასის ფინალში ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი" ლონდონის „ჩელსის" ხვდება. როგორც ჩვენი ლონდონელი კორესპონდენტი დავით მჭედლიშვილი იუწყება, ამ მატჩისადმი ინტერესი უდიდესია მიუხედავად იმისა, რომ „ჩელსიმ" უკვე გაინაღდა თასების თასზე გასვლა, ვინაიდან „მანჩესტერი" ჩემპიონთა თასზე ითამაშებს. ფინალამდე ჩემპიონმა მოუგო „შეფილდ იუნაიტედს" 1:0, „ნორვიჩ სიტის" 2:0, „უიმბლდონს" 3:0, „ჩარლტონ ატლეტიკს" 3:1 და „ოლდჰემს" 1:1, 4:1. ლონდონელებს უფრო გაუჭირდათ და ორი მეტოქე მხოლოდ განმეორებით მატჩებში დაამარცხეს. „ჩელსის" გზა ასეთია: „ბარნეტი" 0:0, 4:0; „შეფილდ უენსდეი" 1:1,3:1; „ოქსფორდ იუნაიტედი" 2:1, „ვულვერჰემპტონი" 1:0 და „ლუთონ თაუნი" 2:0. „მანჩესტერს" ჩვენი გულშემატკივრები, ასე თუ ისე, იცნობენ, თუმცა მაინც განსაკუთრებით საინტერესოა, თუ რა ფორმაში არიან ჰიუზი და გიგზი — საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქეები. რაც შეეხება „ჩელსის", აქ გამოვყოფთ რუს მეკარე დმიტრი ხარინს, ირლანდიელ თავდამსხმელ ტონი კასკარინოს და რასაკვირველია, 36 წლის, ამჟამად დამცველად მოთამაშე გლენ ჰოდლს. საინტერესოა, რომ გუნდში მხოლოდ 5 ინგლისელი ფეხბურთელი ირიცხება და ამინდს ძირითადად უცხოელები ქმნიან: დანიელი იაკობ კიელდბერგი, ნორვეგიელი ერლანდ იონსენი, უბერებელი ჩრდილოირლანდიელი მელ დონაჰიუ და კიდევ ექვსი შოტლანდიელი. სწორედ ისინი შეეცდებიან კლუბის ისტორიაში მეორედ (პირველად 1970 წელს) მოუპოვონ „ჩელსის" ქვეყნის თასი. „მანჩესტერს" კი ამის უფრო დიდი ტრადიცია გააჩნია და უკვე შვიდჯერ (1909, 48, 63, 77, 83, 85, 90) იყო თასის მფლობელი. ხვალინდელი ფინალი თბილისის დროით საღამოს 6 საათზე დაიწყება.

ხვალვე გერმანიის თასის ფინალში ჩემპიონატში უხეიროდ გამოსული „ვერდერი" შეეცდება გამოიყენოს ევროთასებზე გასვლის ერთადერთი დარჩენილი შანსი და ესენის „როტ ვაისს" მოუგოს, თუმცა არც მეორე ბუნდესლიგის ბინადარი დათმობს იოლად იმ სოლიდურ თანხას, რომელიც თასების თასზე გამოსვლით შეიძლება მიიღოს.

საფრანგეთში კი მხოლოდ სამშაბათს გაირკვა თასის ფინალის ორი მონაწილე. „მონპელიემ" სტუმრად „ლანი" დაამარცხა 2:0, „ოსერმა" კი, ბელგიელი მცველის ფრანკ ვერლაატის მეორე ტაიმის პირველივე წუთზე გატანილი გოლით „ნანტს" სძლია.

გამოვლინდნენ რუსეთის თასის ფინალისტებიც, თუმცა მოსკოველმა არმიელებმა ნახევარფინალში პენალტებით ოსური „სპარტაკის" დამარცხებით უკვე გაინაღდეს თასების თასზე გასვლა, რადგან მათი მეტოქე ფინალში მოსკოვისავე „სპარტაკი" რუსეთის შარშანდელი ჩემპიონია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თუ სასახლეა, ინტრიგაც იყოს...

პარასკევი, 6 მაისი

**აზოტი — თორსი 81:64 (41:34)**
აზოტი: გაბისონია (9), კიკვიძე (4), მიქიაშვილი (5), კეჭაყმაძე (13), ბერუაშვილი (7); ქობულაძე (30), კოჭლამაზაშვილი (11), ბარამიძე, ჭელიძე (2), მიროტაძე.
თორსი: ი. თორთლაძე (11), ლუდუშაური (11), ტალაბაძე (17), ფერიაშვილი (17), ხარაძე (4), ცაგარეიშვილი (4).

ბედის საძებრად უცხოეთს წასულმა დავით თორთლაძემ, ეტყობა, თან გაიყოლა თორსელთა ოთხეულში მოხვედრის იმედი და, როგორც ჩანს სწორედ ეს გუნდები შეეცილებიან ერთმანეთს V ადგილს.

**ვითა — დინამო 94:84 (49:39).**
ვითა: ჩერქეზიშვილი (7), ტურაშვილი (16), კობეშავიძე (22), ორმოცაძე (6), შენგელია (29); ბეჟანიშვილი (4), ჩუბინიძე (1), კორძაძე (9), უძილაური
დინამო: დარსაძე (5), ი. ვაშაკიძე (34), ცხვედიანი (11), გ. ვაშაკიძე (4), სხიერელი (8); სამხარაძე, კილაძე, დავითულიანი (14), გოგუა (8)

თამაშის დაწყებიდან ხუთი წუთის და სამი წამის შემდეგ, „დინამომ" რომ პირველი წუთშესვენება ითხოვა, ანგარიში იყო 12:4 „ვითას" სასარგებლოდ. ტაიმ-აუტმა დინამოელებს ვერარა უშველა, მათი ლიდერი შალვა ცხვედიანი მაინც უიღბლოდ და უშედეგოდ თამაშობდა — პირველი ბურთი, ისიც საჯარიმოდან, მხოლოდ მერვე წუთზე ჩააგდო. ამ დროს შეცვალეს გელა დარსაძეც, რომელიც, ეტყობა, გადაღლილიყო „თბილისთან" და „კაქტუსთან" მომქანცველი მატჩების შემდეგ. მეთერთმეტე წუთზე ცხვედიანმა მეხუთე სამქულიანი ააცილა, „ვითამ" კი სხვაობა ათ ქულამდე გაზარდა. ორი წუთის შემდეგ სხვაობა უკვე 14 ქულა იყო — 27:13. ტაიმის დამთავრებამდე 4 წუთით და 22 წამით ადრე ცხვედიანმა, როგორც იქნა, პირველი სამქულიანი მოათავსა კალათში ოღონდ უკვე მეშვიდე ცდიდან. დინამოელთაგან ლიდერობა ირაკლი ვაშაკიძემ იკისრა, რომელმაც ტაიმში 23 ქულა (აქედან ხუთი სამქულიანი) მოაგროვა.

მეორე ნახევარში ფარქვეშ დაჩაგრულმა დინამომ გამოიყვანა მსროლელი ალეკო დავითულიანი, რომელმაც ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგდო, ერთი ცხვედიანმაც წააშველა (მეათე ცდიდან მეორე ჩაგდება), ცოტა ახლოდანაც იყოჩაღეს, ხუთ წუთიანი მონაკვეთი 18:6 მოიგეს და დაწინაურდნენ 57:55. წუთსა და 57 წამში ანგარიში გათანაბრდა 60:60. შემდეგ კვლავ დინამომ იმარჯვა 66:60. ამასობაში ფარქვეშ გალაღდა ვითელი შენგელია და დამთავრებამდე 9 წუთითა და 5 წამით ადრე ანგარიში ისევ გათანაბრდა. „დინამომ" ერთხელ კიდევ იძალა 72:70, ცხვედიანმა კი მესამე სამქულიანიც ჩააგდო 75:70. ანგარიში 75:74 რომ გახდა, გააქტიურდა „ვითას" კობეშავიძე და თავისიანები დააწინაურა — 78:77. შეხვედრის დამთავრებამდე 3 წუთით და 50 წამით ადრე დარსაძის და ირაკლი ვაშაკიძის მონდომებით ანგარიში ერთხელაც, და უკანასკნელად, გათანაბრდა — 82:82. ამის შემდეგ მამუკა ტურაშვილმა კვლავ „ვითა" გაიყვანა წინ და თუმცა დაძაბულობა ბოლომდე არ შენელებულა, ჩემპიონმა 10 ქულიანი უპირატესობით გაიმარჯვა.

**თბილისი — კაქტუსი 83:72 (40:44)**
თბილისი: ცაგარეიშვილი (10), გურასპაული (2), სანაძე (7), კოკოლიშვილი (6), დერიუგინი (35); ახვლედიანი (2), ქარაბაკი (15), ხელაშვილი (6).
კაქტუსი: ა. ულენტი (4), აბრამიძე (9), ჩხეიძე (19), ნაცვლიშვილი (17), ოთიურიძე (12); ხოშტარია (1), ბერძენიშვილი (2), ქართველიშვილი (8)

გუნდებმა თითქმის ერთნაირი ტაქტიკით დაიწყეს თამაში: ფარქვეშ შეუსვლელად, შორი და საშუალო მანძილიდან ტყორცნიდნენ. თუ თბილისელთა მხრიდან ეს მეტნაკლებად მოსალოდნელი იყო, კაქტუსელთაგან, რომლებიც ძალზე იშვიათად ესვრიან სამქულიანებს, ამას ცოტა ავანტიურის ელფერი დაჰკრავდა. თუმცაღა „კაქტუსმა" ამით იხეირა და პირველი ტაიმის შუაწელისთვის 35:25 დაწინაურდა. „თბილისს" კი არ უმართლებდა: ჯერ იყო და მსროლელ გურასპაულს მესამე წუთზე შარშან სუპერფინალში დაჭიმულმა ფეხის კუნთმა შეახსენა თავი და თამაში მიატოვა, სნაიპერმა სანაძემ კი 5 სამქულიანი ააცილა და შესვენებამდე ქულა ვერ აიღო.

მეორე ტაიმის საწყისი 6,30 წუთი „თბილისმა" 16:5 მოიგო. დროის ამ მონაკვეთში ნიკოლოზ დერიუგინმა 10 ქულა მოაგროვა და დაჩაგრა კიდეც მის წინაამდეგ პირველი ტაიმის ბოლოს შეცვლაზე გამოსული ბერძენიშვილი, რომელსაც მოტეხილი თითი ჯერაც ვერ მოეშუშებინა. კაქტუსელთა ცენტრი ოთხი საჯარიმოს გამო დროებით გამოცვალეს და მაშინ დააბრუნეს მოედანზე, როცა დერიუგინი სულის მოსათქმელად სკამზე დაჯდა. ამ დროს თავისი სიტყვა თქვა სანაძემ — ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო. ამ ფსიქოლოგიურმა გარდატეხამ და ცაგარეიშვილის მიერ გონივრულად წარმართულმა თამაშმა მატჩის ბედი გადაწყვიტა. „კაქტუსმა" ისღა მოახერხა, რომ დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ჩხეიძეს ანგარიში 6 ქულამდე შეემცირებინა (71:77). თავშესაქცევი სიტუაცია შეიქმნა მატჩის ბოლო წუთზე, როცა კაქტუსელებმა 20 წამის განმავლობაში 5 სამქულიანი ისროლეს უშედეგოდ.



კვირა, 8 მაისი

**კაქტუსი — აზოტი 108:88 (48:37)**
კაქტუსი: ა. ულენტი (4), აბრამიძე (3), ჩხეიძე (26), ნაცვლიშვილი (23), ოთიურიძე (9); ხოშტარია (24), ქართველიშვილი, აბულაძე (13), ტეფნაძე (4), ახალკაცი (2), ს. ულენტი
აზოტი: გაბისონია (16), კიკვიძე (8), მიქიაშვილი (14), ქობულაძე (30), ბერუაშვილი (9); კეჭაყმაძე (6), ბარამიძე (2)

„აზოტი" მერვე წუთზე 5 ქულით დაწინაურდა, მაგრამ უპირატესობა, „ტრადიციისამებრ", ვერ შეინარჩუნა: უკვე მე-12 წუთზე „კაქტუსი" ქულით იგებდა, შემდგომ კი ტაიმის ბოლოს ნაცვლიშვილის ჩატენვისა და აბულაძის 3-ქულიანის შემდეგ სხვაობამ 10 ქულას მიაღწია (46:36).

მეორე ნახევარში ხოშტარიასა და გალაღებულ ნაცვლიშვილს არც ჩხეიძე ჩამორჩა (26 ქულა) და მე-12 წუთზე ამ მატჩში ყველაზე დიდი სხვაობაც (31 ქულა) დაფიქსირდა. ამ დროს რუსთაველმა მიხეილ ბერუაშვილმა მსაჯის გინებისთვის ორი ტექნიკური ჯარიმა მიიღო და მოედანიც დატოვა.

**დინამო — თორსი 85:76 (47:45)**
დინამო: დარსაძე (3), ი. ვაშაკიძე (12), ცხვედიანი (26), გ. ვაშაკიძე (15), სხიერელი (12); სამხარაძე (1), დავითულიანი (10), გოგუა (4), კილაძე (2)
თორსი: ი. თორთლაძე (25), ლუდუშაური (16), ტალაბაძე (6), ცაგარეიშვილი (15), ხარაძე (14)

თანაბარი თამაში მეოთხე წუთამდე გაგრძელდა. შემდეგ დინამოელებმა სამქულიანების ტყორცნას უხშირეს და მეტოქეებიც აიყოლიეს, მაგრამ ცხვედიანს, ირაკლი ვაშაკიძეს და დავითულიანს სამიზნე უფრო გამართულ-გასწორებული ჰქონდათ ვიდრე ირაკლი თორთლაძეს და ლუდუშაურს. სამაგიეროდ, აქაოდა, უპირატესობა ჩვენიაო, დინამოელები ისე მოეშვნენ, მწვრთნელის, ვაჟა ჭკუასელისაგან მკვახე შეძახილიც დაიმსახურეს: „რა მკვდრებივით დადიხართ, გაინძერითო". უცნაური ის იყო, რომ დაწინაურებულ და დაარხეინებულ მეტოქეებს თორსელებმაც მიბაძეს და სამი წუთის მანძილზე 46:38-ს გვაყურებინეს. მერე ცაგარეიშვილმა სამქულიანი ჩააგდო და მისმა „თორსმა" ტაიმი ორი ქულითღა დათმო, შესვენებიდან სამი წუთის შემდეგ კი ხარაძემ 51:49 წინ გაიყვანა იგი. ეს იყო და ეს. „დინამომ" მაშინ კი გამოიდო თავი, საბოლოოდ უპრობლემოდაც გაიმარჯვა და გაიუმჯობესა ნახევარფინალში მოხვედრის შანსი.

**ვითა — თბილისი 105:81**
ვითა: ჩერქეზიშვილი (20), ტურაშვილი (20), კობეშავიძე (22), ორმოცაძე (15), შენგელია (4), კორძაძე (8), ბეჟანიშვილი (11), ბერუაშვილი, ჩუბინიძე (1), უძილაური (2), მაჭარაძე (2)
თბილისი: ცაგარეიშვილი (9), სანაძე, ქარაბაკი (10), კოკოლიშვილი (6), დერიუგინი (31); ახვლედიანი (11), ხელაშვილი (11), ჩიქოვანი (3), აბულაშვილი

„თბილისს" ჩემპიონის წინააღმდეგ კარგად დაცდილი ყვითელი ფორმის ჩაცმამაც ვერ უშველა. მოთამაშე-მწვრთნელს ნოდარ ქორქიას, მენისკის ოპერაციის გამო მთელი წრის მანძილზე მხოლოდ მეორე ფუნქციას რომ ასრულებდა, შეემატა პაატა გურასპაულიც, რომელსაც შარშანდელი ტრავმის გამიზეზებამ გულშემატკივრობაღა არგუნა. ამ და სხვა გარემოებებმა, რომელთა ახსნას ქვემოთ შევეცდებით, სპორტის სასახლეში მისულ ოთხი ათასამდე (დაახლოებით ორჯერ მეტი, ვიდრე ვერის ბაღის დარბაზში ეტევა) მაყურებელს, უკეთ რომ ვთქვათ, მის მიუმხრობელ ნაწილს, დაძაბული მატჩის სანახავად რომ იყო მისული, იმედი გაუცრუა — „ვითამ" კონკურენტი იოლად დაჯაბნა. ჩვენი აზრით, ამ შეხვედრის ზოგად ანალიზს (არა იმას, მწვრთნელთა პროფესიული მოვალეობა რომაა) კალათბურთის საგანგებო ცოდნა არც სჭირდება, აქ ბევრი რამ უბრალო ლოგიკის საქმეა. როდესაც ორი, დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდი ეპაექრება ერთმანეთს, ერთ-ერთი მათგანი კი აშლილი ორკესტრივით ირჯება, ერთხელაც 31 ქულით ჩამორჩება, საბოლოოდ კი 24 ქულით აგებს, ესე იგი, „კონცერტის" „დირიჟორმაც" ვერ ივარგა. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ „თბილისს" მეორე ტაიმში ძველი ტრავმის რეციდივმა კიდევ ერთი წამყვანი მოთამაშე, გია სანაძე გამოაკლო, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ გუნდის საქმე ვერც პირველ ტაიმში იყო კარგად — 26:50. მარცხი მით უფრო საოცარია, რომ თბილისელთა ცენტრმა ნიკოლოზ დერიუგინმა საუცხოოდ ითამაშა.

მას იმ დღეს რამდენიმე მეტოქესთან (ხან ცალ-ცალკე, ხანაც ორთან ერთად) უწევდა ბრძოლა. ასეთ პირობებში მან 31 ქულა (81-დან) შესძინა გუნდს, მის წინააღმდეგ მოთამაშეთ ბლომად ჯარიმაც მიაღებინა და დაცვაშიც ისე გაიხარჯა, „ვითას" ნომინალურმა ცენტრმა კახა შენგელიამ (ხუთი პერსონალურიდან ხამი დერიუგინმა რომ „დაამსახურებინა") მხოლოდ ოთხი ქულა ჩააგდო, გიორგი ბერუაშვილმა კი ვერცერთი. გარდა ამისა, დერიუგინმა შეხვედრის დასაწყისიდანვე რომ შეატყო, მის „გარედან" მოთამაშე თანაგუნდელებს შორიდან ტყორცნები უცუდდებოდათ, ვითელ გოლიათებს კი მისი ფარქვეშ „მოხრჩობა" განეზრახათ, სამქულიან ტყორცნებს მიჰყო ხელი და ოთხჯერ ჩააგდო. ზემოთ თბილისელთა „დირიჟორი" რომ ვახსენეთ, მთავარი მწვრთნელი ვალერი ჯგერენაია ვიგულისხმეთ. კარგად ვიცით საქმისადმი მისი პროფესიული დამოკიდებულება და ამიტომაც ვესლით, რომ იგი ამ მარცხის მიზეზებს საფუძვლიანად გააანალიზებს და მომდევნო წრის „თბილისისა" და „ვითას" მატჩში ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდება.

რაც შეეხება ვითელებს, ისინი თამაშს და მეტოქეს მობილიზებულნი შეხვდნენ. სრულმა შემადგენლობამ მათ დროული ურთიერთშეცვლების ანუ ამოსუნთქვისა და თამაშის ნირის ცვლის საშუალება მისცა. გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ჩერქეზიშვილმა, ტურაშვილმა და კობეშავიძემ, რომლებიც, სანამ მათი კოლეგები ფარქვეშ დერიუგინს ებრძოდნენ, საშუალო და შორი მანძილებიდან „ბომბავდნენ" მეტოქის კალათს. დაცვაში კი სწორედ ჩემპიონთა მწყობრმა თამაშმა გამოიწვია „თბილისის" აცა-ბაცა შეტევები.

„ვითას" უპირატესობამ ერთის მხრივ მსაჯებსაც (ავალიშვილი და ქურიძე) გაუიოლა საქმე. და მაინც, მათ სამჯერ მოუხდათ ტექნიკური ჯარიმის მიცემა, თუმცა მეტი პედანტურობა რომ გამოეჩინათ (რაც სიტუაციიდან გამომდინარე ალბათ არც იყო საჭირო) იქნებ მეტი მოთამაშეც კი დასჯილიყო: კარგებისა და კეთილების წარამარა ხსენება ხომ ჩვენი კალათბურთის, განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანი შეხვედრების ისეთივე ატრიბუტია, როგორც ვთქვათ სამქულიანი ან საჯარიმო სროლა.

9 მაისი, ორშაბათი,

**თორსი — თბილისი 74:82 (46:37)**
თორსი: ი. თორთლაძე (14), ლუდუშაური (19), თ. ცაგარეიშვილი (5), ფიცხელაური, ხარაძე (17); ტალაბაძე (19), მიქაძე
თბილისი: ზ. ცაგარეიშვილი (8), ახვლედიანი (17), ქარაბაკი (17), კოკოლიშვილი (11), ხელაშვილი (15); აბულაშვილი (2), ჩიქოვანი (3), დერიუგინი (9)

წინადღეს შენგელიასთან შეჯახებისას დაშავებული (ტვინის შერყევის ნიშნებით) დერიუგინი მეორე ტაიმში „თბილისს" შეეხიდა და საქმე მოუგვარა: მისმა გამოჩენამ „თორსი" გატეხა.

**დინამო — აზოტი 85:77 (41:26)**
დინამო: დარსაძე (12), ი. ვაშაკიძე (14), ცხვედიანი (27), გ. ვაშაკიძე (9), კილაძე (13); დავითულიანი (10)
აზოტი: კიკვიძე (8), გაბისონია (2), ქობულაძე (12), მიქიაშვილი (8), ბერუაშვილი (35); კეჭაყმაძე (10), ბარამიძე (2), კოჭლამაზაშვილი

**ვითა — კაქტუსი 87:84 (46:38)**
ვითა: ჩერქეზიშვილი (11), ტურაშვილი (11), კობეშავიძე (15), კორძაძე, შენგელია (35); ორმოცაძე (9), ბეჟანიშვილი (6)
კაქტუსი: ა. ულენტი (12), აბრამიძე (5), ჩხეიძე (11), ნაცვლიშვილი (18), ოთიურიძე (8); ბერძენიშვილი (9), ხოშტარია (15), ქართველიშვილი (6)

შენგელიამ პირველ წუთზე ორი საჯარიმო ააცილა, მაგრამ შემდეგ ფარის სრული ბატონ-პატრონი შეიქნა, რასაც მისი შედეგიც მეტყველებს — 35 ქულა. მე-17 წუთზე იგი მარტო შეიჭრა მეტოქის ფარქვეშ და ბურთი ჩატენა. ალბათ ამან გაახსენა ნაცვლიშვილის (ვინაც ორჯერ დააფარა შენგელიას და „პასუხიც" ასეთივე მიიღო), რომ მასაც ძალუძს ასეთი ილეთის შესრულება და მეორე ტაიმის მე-16 წუთამდე ამის დამტკიცებას ცდილობდა. ბოლოს დაამტკიცა კიდეც, მაგრამ მისმა „ექსპერიმენტებმა" „კაქტუსს" 4 ქულა დააკარგვინა. ტაიმის დამთავრებას ორნახევარი წუთი აკლდა, როცა „ვითამ" „აიწყვიტა", წუთნახევარი 7:0 მოიგო და გუნდები შესვენებაზე 8-ქულიანი სხვაობით წავიდნენ (46:38).

მეორე ტაიმის დასაწყისში შენგელიას ზუსტ 2-ქულიანს ულენტმა სამქულიანით უპასუხა. მერე ისევ შენგელიამ იმარჯვა, ჯერ თავად დაიწერა 2 ქულა, შემდეგ კი საუცხოო პასით იგივე ბეჟანიშვილს გაამკეთებინა. ჩხეიძისა და ულენტის მონდომებით სხვაობა ისევ 5 ქულაა. აქ კაქტუსელთა „ვეტერანმა" გიორგი ქართველიშვილმა მიჯრით 2 სამქულიანი ჩააგდო, მაგრამ კობეშავიძემ და ორმოცაძემაც ივარგეს. დამთავრებას წუთნახევრამდე აკლდა, როცა ჩხეიძემ შესანიშნავად ითამაშა: რთული პოზიციიდან 2 ქულა ჩააგდო, შენგელიასაც მე-5 პერსონალური „აჰკიდა" და საჯარიმოც ზუსტად ესროლა 80:83. ნაცვლიშვილმა ერთ ქულამდე შეამცირა სხვაობა. მსაჯის საფინალო სასტვენამდე 20 წამით ადრე „ვითას" ტურაშვილმა აუღელვებლად ჩააგდო ორი ჯარიმა (85:82). „კაქტუსმა" წუთშესვენება აიღო. ყველა ელოდა ისეთი კომბინაციის გათამაშებას, რომელიც სამქულიანი სროლით დამთავრდებოდა, მოედანზე კი სხვა რამ მოხდა: ნაცვლიშვილი შეიჭრა ფარქვეშ და... ბურთი დაკარგა.

ილია ბაბუნაშვილი
ერეკლე კიკილაშვილი
მერაბ რატიშვილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვითა | 22 | 1 | 2117-1564 | 45 |
| თბილისი | 20 | 3 | 2197-1706 | 43 |
| კაქტუსი | 18 | 5 | 1977-1672 | 41 |
| თორსი | 11 | 12 | 1983-1981 | 34 |
| დინამო | 12 | 11 | 1841-1878 | 34 |
| აზოტი | 9 | 14 | 1833-1952 | 32 |

დინამოს დაკლებული აქვს ერთი ქულა



## დინამო „რენესანსს" გვპირდება

— მე ჯერჯერობით მხოლოდ „დინამოს" კლუბის დირექტორატის წევრი ვარ და მარტოოდენ მწვრთნელ-კონსულტანტის მოვალეობას ვასრულებ, — გვითხრა ლევან მოსეშვილმა და „დინამოში" მომხდარ ცვლილებებსა და სამომავლო გეგმებზეც მოგვითხრო:

— გუნდი ფსიქოლოგიურად იყო გატეხილი, მაგრამ მას მერე, რაც კლუბში ახალი პრეზიდენტი ზურაბ საკანდელიძე მოვიდა, მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვალა, მოგვარდა არაერთი ფინანსური პრობლემა. წლეულს ყველაფერს ვიღონებთ ოთხეულში მოსახვედრად და იქაც ღირსეულად გამოსასვლელად, გაისისათვის კი ძალას არ დავიშურებთ „დინამოს" ძველი დიდების ასაღორძინებლად. ვაპირებთ „გათხოვებული" კალათბურთელების კლუბში დაბრუნებას, მათ გვარებს ახლა შეგნებულად არ დავასახელებ, მე თვითონ კი აქტიურ სამწვრთნელო საქმიანობას შევუდგები.

### ტურის ბომბარდირები

(ქულა, საშუალოდ მატჩში)

| | | |
|---|---|---|
| ნიკოლოზ დერიუგინი (თბილ.) | 130 | 26.0 |
| შალვა ცხვედიანი (დინამო) | 117 | 23.4 |
| კახა შენგელია (ვითა) | 114 | 22.8 |
| მიხეილ ბერუაშვილი (აზოტი) | 109 | 21.8 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი (კაქტ.) | 104 | 20.8 |
| ირაკლი ვაშაკიძე (დინამო) | 99 | 19.8 |
| ირაკლი თორთლაძე (თორსი) | 97 | 19.4 |
| რევაზ ჩხეიძე (კაქტუსი) | 92 | 18.4 |
| ბესიკ ქობულაძე (აზოტი) | 88 | 17.6 |
| მიხეილ კობეშავიძე (ვითა) | 79 | 15.8 |
| ბესო ლუდუშაური (თორსი) | 77 | 15.4 |
| მამუკა ტურაშვილი (ვითა) | 68 | 13.6 |
| ნიკო ჩერქეზიშვილი (ვითა) | 61 | 12.2 |

შეყვანილია ის კალათბურთელები, ვინც 60 ქულაზე მეტი დააგროვა.

### ჩემპიონატის ბომბარდირები

(ქულა, თამაში, საშუალოდ)

| | | | |
|---|---|---|---|
| დავით თორთლაძე (თორსი) | 542 | 18 | 30.1 |
| შალვა ცხვედიანი (დინამო) | 616 | 22 | 28 |
| ალექს. ფერიაშვილი (თორსი) | 529 | 19 | 27.8 |
| მალხაზ ანდღულაძე (მერანი) | 570 | 24 | 23.7 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი (კაქტ.) | 486 | 22 | 22.09 |
| მიხეილ ბერუაშვილი (აზოტი) | 490 | 23 | 21.3 |
| ნიკოლოზ დერიუგინი (თბილ.) | 389 | 19 | 20.4 |
| კახა შენგელია (ვითა) | 400 | 20 | 20 |
| ირაკლი ვაშაკიძე (დინამო) | 303 | 17 | 17.8 |
| რევაზ ჩხეიძე (კაქტუსი) | 338 | 19 | 17.7 |
| მიხეილ კობეშავიძე (ვითა) | 318 | 18 | 17.6 |
| კახა მაჭავარიანი (შევარდენი) | 402 | 23 | 17.4 |
| გურამ ვაშაკიძე (დინამო) | 326 | 20 | 16.3 |

შეყვანილია ის კალათბურთელები, ვინც 300 ქულაზე მეტი დააგროვა.

### სარბიელის ხუთეული

(ტურის თამაშების მიხედვით)

| | |
|---|---|
| ნიკო ჩერქეზიშვილი | ვითა |
| ირაკლი ვაშაკიძე | დინამო |
| მიხეილ კობეშავიძე | ვითა |
| რევაზ ჩხეიძე | კაქტუსი |
| ნიკოლოზ დერიუგინი | თბილისი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. ფლეი-ოფი.

# «სუპერსონიქსს» ჰკრეს პანღური...

5-8 მაისი

I წრე

### იუტა 3:1 სან-ანტონიო

იუტა ჯაზი — სან-ანტონიო სფურზი 95:90. მატჩის მიწურულს, როცა „სფურზი" 84:91 აგებდა, მისმა მსროლელმა დეილ ელისმა და ფრთამ დენის როდმანმა ორი ბურთი ჩააგდეს. იუტელმა კარლ მელოუნმა (34 ქულა) დამთავრებამდე 42 წამით ადრე ექვსი მეტრიდან ჩააგდო, რასაც დევიდ რობინსონის ნახევარტრიალი და კვლავ სამქულიანი სხვაობა მოჰყვა. „სან-ანტონიომ" დამთავრებამდე 12 წამით ადრე მიიღო ბურთი, მაგრამ ჯაზელმა დევიდ ბენუამ მოხსნა ნასროლი და იქით ჩაუტენა ფლეი-ოფიდან გაგდებულ „სფურზს".

### ჰიუსტონი 3:1 პორტლენდი

პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი—ჰიუსტონ როკიტსი 89:92. აკიმ ოლაჯუონმა (28 ქულა, 16 მოხსნა) 10 ქულა ბოლო 6,06 წუთში ჩააგდო, მაგრამ კინაღამ დაღუპა თავისიანები: დამთავრებამდე 4,2 წამით ადრე ორიდან ერთი საჯარიმო გააცუდა და პორტლენდელ როდ სტრიკლენდს (26 ქულა) სამქულიანი სროლის საშუალება მისცა. როკიტსელთა ბედად, სტრიკლენდმა კალათს მოარტყა ბურთი, ამან კი მოვლენებს მეორე წრისკენ გაუთავისუფლა გზა. პირველი ტაიმის შემდეგ „ჰიუსტონი" 21 ქულით იგებდა, ხოლო „პორტლენდმა" ფლეი-ოფების ყველა დროის პირადი რეკორდი დაამყარა: ასე ცოტა, სროლათა 34 პროცენტი არასდროს ჩაუგდია.

### დენვერი 3:2 სიეტლი

დენვერ. ნაგიტსი — სიეტლ სუპერსონიქსი 94:85. „დენვერმა" ოვერტაიმი 12:3 მოიგო. ამ ხანში ლაფონსო ელისმა (27 ქულა, 17 მოხსნა) და ბრაიან სტისმა (15 ქულა) ექვს-ექვსი ქულა ჩააგდეს და სერიის ანგარიში 2:2 გახადეს. „სიეტლიდან" საუკეთესონი იყვნენ დეტლეფ შრემპფი და გერი პეიტონი (20-20 ქულა).

სიეტლი — დენვერი 94:98. ასოციაციის ისტორიაში პირველად მოხდა, როცა გაერთიანებაში მერვე ნომრად განთესილმა გუნდმა პირველ ნომრად განთესილი გააგდო ფლეი-ოფიდან. „დენვერმა", ვინც რეგულარული სეზონი ყველაზე ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრა, ხუთმატჩიან სერიაში მოუგო თითქოსდა საჩემპიონოდ გამზადებულ „სიეტლს". ამ მატჩის და სერიის ბედი კვლავ ოვერტაიმში გადაწყდა, როცა დენვერელებმა რობერტ პეკმა ბრაიან ვილიამსმა ზედიზედ ჩააგდეს, ხოლო დიკემბე მუტომბომ ორ სროლას დააფარა. „ნაგიტსი" გახდა ასოციაციის ისტორიაში მეხუთე გუნდი, ვინც მოიგო ხუთმატჩიანი სერია 0:2 ჩამორჩენის შემდეგ.

### ნიუ-იორკი 3:1 ნიუ-ჯერსი

ნიუ ჯერსი-ნეტსი — ნიუ-იორკ ნიქსი 92:102. მესამე მეოთხედი თანაფარდობით დაიწყო — 49:49 და 72:61 დასრულდა „ნიქსის" სასარგებლოდ. ამ ხანში პატრიკ იუინგმა (36 ქულა) 11 სროლა გააკეთა, ხოლო ჩარლზ სმიტმა — 8. „ნიუ-ჯერსიმ" ბოლო მეოთხედში კი გაიბრძოლა, მაგრამ მხოლოდ დერიკ კოულმენის (31 ქულა, 14 — მეოთხე მეოთხედში, 25-დან 21 საჯარიმო) იმედად და ფლეი-ოფის მიღმა აღმოჩნდა.

### ატლანტა 3:2 მაიამი

მაიამი ჰითი — ატლანტა ჰოქსი 89:103. ატლანტელმა მუკი ბლეილოკმა (29 ქულა — კარიერის რეკორდი) ჩაუშალა „მაიამის" იმედები, ისტორიაში ფლეი-ოფის პირველი სერია მოეგო. ბლეილოკმა მოედნიდან 13-დან 7 ჩააგდო და 6 სამქულიანი ისროლა ზუსტად. მისმა გუნდელმა დანი მანინგმა 26 ქულა გააკეთა, ხოლო ბიმბო კოულზის (18 ქულა) „ჰითმა" სროლათა 37 პროცენტი ჩააგდო.

ატლანტა — მაიამი 102:91. „ატლანტამ", რომელიც ორჯერ ჩამორჩებოდა სერიაში, კარგად გამოიყენა ბოლო შანსი მუკი ბლეილოკის წყალობით (13 ქულა, 18 პასი, 8 მოხსნა, 4 ჩაჭრა) და პირველად 1988 წლის შემდეგ გავიდა ფლეი-ოფის მეორე წრეში.





ჩარელმა დიკემბე მუტომბომ (55) „სიეტლს" სისხლი გაუშრო, კარლ მელოუნსა და მის „ჯაზს" კი ჩერჩეროობით გვერდეური მოუხერხა

8-11 მაისი

II წრე

### ნიუ-იორკი 2:0 ჩიკაგო

ნიუ-იორკ ნიქსი — ჩიკაგო ბულზი 90:86. „ჩიკაგომ" ბოლო სამ სეზონში ზედიზედ სამჯერ გამოაგდო „ნიუ-იორკი" ფლეი-ოფიდან, მაგრამ წლეულს, მაიკლ ჯორდანის წასვლის შემდეგ „ხარებმა" რეგულარულ სეზონში 4-დან სამი თამაში დაუთმეს მეტოქეს. მესამე მეოთხედის დამთავრებამდე 3,15 წუთით ადრე „ბულზი" 67:52 იგებდა, მაგრამ საფინალო სირენამდე 48 წამთ ადრე ანგარიში გათანაბრდა — 86:86. ამ დროს ნიქსელმა ჯონ სტარქსმა (16 ქულა) კონტრშეტევისას შორი პასი მისცა ენტონი მეისონს და ამან პირველი მეოთხედის შემდეგ პირველად დააწინაურა გუნდი. ბი. ჯეი. არმსტრონგმა ვერ გამოიყენა „ბულზის" შეტევა, გრეგ ენტონიმ ბოლო წამზე შორიდან ესროლა, ენტონი მეისონმა მოხსნა ბურთი და ჩიკაგოელები სტარქსთან თამაშისას დაჯარიმდნენ, ამან კი ორი საჯარიმო ჩააგდო.

ნიუ-იორკი — ჩიკაგო 96:91. მეოთხე მეოთხედამდე თანაბარი თამაში მიდიოდა. იქამდე, სანამ ნიქსელმა ჯონ სტარქსმა (13 ქულა) ზედიზედ 8 ქულა არ გააკეთა. ბოლო მეოთხედში „ჩიკაგომ" 14 ქულა დააგროვა, ხოლო მატჩში სროლათა 37,5 პროცენტი ჩააგდო. ნიუიორკელმა პატრიკ იუინგმა 26 ქულა გააკეთა, ხოლო ენტონი მეისონმა, ვისაც სულ ცოტა ხნის წინ მოუხსნეს დისკვალიფიკაცია მწვრთნელის პატ რაილის კრიტიკისთვის, 15 ქულა და 14 მოხსნა მიითვალა. „ბულზში" საუკეთესონი იყვნენ ბი. ჯეი. არმსტრონგი და ჰორას გრანტი — 23-23 ქულა.

### ფინიქსი 2:0 ჰიუსტონი

ჰიუსტონ როკიტსი — ფინიქს სანზი 87:91. მეოთხე მეოთხედის დასაწყისში „სანზი" 61:66 აგებდა, მაგრამ ზედიზედ 13 ქულა ჩააგდო, „როკიტსს" ხუთი წუთის მანძილზე ქულა არ აღებინა და ხმა ჩააკმენდინა 17 ათას ჰიუსტონელ გულშემატკივარს. კევინ ჯონსონმა 20 ქულა მოუტანა „ფინიქსს", ჩარლზ ბარკლიმ — 21. დამარცხებულებში ყველაზე საუკეთესო იყო აკიმ ოლაჯუონი — 36 ქულა, 16 მოხსნა.

ჰიუსტონი — ფინიქსი 117:124. „ფინიქსმა" სასწაული ჩაიდინა: მეოთხე მეოთხედში 20 ქულას აგებდა და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა. ასოციაციის ფლეი-ოფების ისტორიაში ეს იყო ყველაზე დიდი ჩამორჩენა, რომელიც რომელიმე კლუბს დასკვნით მეოთხედში გაუბათილებია. ჩარლზ ბარკლიმ 34 ქულა მოუტანა „სანზს". კევინ ჯონსონმა — 27 (6 — ოვერტაიმში), დან მარლიმ — 22. აკიმ ოლაჯუონმა, ვინც ორი დღის წინ წლის საუკეთესო მცველად აღიარეს, „როკიტსისთვის" 34 ქულა და 17 მოხსნა გააკეთა. „ჰიუსტონი" შინ გამართული ორი მატჩის შემდეგ სერიას 0:2 აგებს. ასოციაციის ისტორიაში ერთადერთი გუნდი, რომელმაც მოახერხა ასეთი ჩამორჩენის შემდეგ სერიის მოგება (4 გამარჯვებამდე), 1969 წლის „ლოს-ანჯელეს ლეიკერზი" იყო.

### ინდიანა 1:0 ატლანტა

ატლანტა ჰოქსი — ინდიანა პეისერზი 85:96. აღმოსავლეთის გაერთიანების ჩემპიონი „ატლანტა" პირველ მეოთხედს 23:11 იგებდა, ხოლო ტაიმს — 53:47. მესამე მეოთხედში უპირატესობა 12 ქულამდე გაიზარდა, მაგრამ ამ დროს სათადარიგო ინდიანელმა ანტონიო დევისმა (15 ქულა) 6-დან 6 ბურთი ჩააგდო და მისმა გუნდმა მეოთხედი 32:19 მოიგო. „პეისერზმა", რომელიც ფლეი-ოფში წაუგებლად ასპარეზობს, ბოლომდე შეინარჩუნა ლიდერობა.

### იუტა 1:0 დენვერი

იუტა ჯაზი — დენვერ ნაგიტსი 100:91. იუტელმა კარლ მელოუნმა (35 ქულა) გატანჯა ფლეი-ოფის უდიდესი სენსაციის ავტორის — „დენვერის" ცენტრი დიკემბე მუტომბო. მელოუნი ძირითადად მაზვილი კუთხეებიდან ისროდა, ფარიდან 5-6 მეტრის დაშორებით და ზაირელსაც აქეთ-იქეთ არბენინებდა. მიუხედავად ამისა, მუტომბომ 20 ქულა, 10 მოხსნა და 4 დაფარება დააგროვა. მან ფლეი-ოფების რეკორდი დაამყარა: 5 მატჩში 31 დაფარება შეასრულა: ჯაზელმა ჯონ სტოქტონმა 17 ქულა და 11 პასი მიითვალა.

**მერაბ რატიშვილი**

# ოლაჯუონი საუკეთესო მცველი

„წლის საუკეთესო მცველი" (Defensive Player of the Year) — ეს ტიტული ყოველ სეზონში ენიჭება კალათბურთელს, რომელიც ამპლუის მიუხედავად ყველაზე კარგად თამაშობს დაცვაში. ამ მოთამაშეს ასახელებენ კალათბურთის თემაზე მომუშავე ჟურნალისტები.

წლეულს ხმები ასე განაწილდა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | აკიმ ოლაჯუონი | ჰიუსტონი | 23 |
| 2 | დევიდ რობინსონი | სან-ანტონიო | 22 |
| 3 | დიკემბე მუტომბო | დენვერი | 19 |

„მე პატივნაცემი და ბედნიერი ვარ, მაგრამ ცოტა გაკვირვებული. არ მეგონა, თუ ზედიზედ მეორედ გავხდებოდი წლის საუკეთესო მცველი" — განაცხადა „ჰიუსტონ როკიტსის" ცენტრმა აკიმ ოლაჯუონმა ორშაბათ ღამეს, როცა იგი დაასახელეს წლის საუკეთესო მცველად.

ოლაჯუონმა წლეულს საშუალოდ ერთ მატჩში 3,71 დაფარება და 11,9 მოხსნა დააგროვა. პირველი მაჩვენებლით იგი მეორე იყო რეგულარულ ჩემპიონატში, ხოლო მეორეთი — მეოთხე. „მე მიყვარს ბურთის ჩაგდება, მაგრამ დაცვა ჩემი პირველი სიყვარულია. აქ არ შეიძლება შეცდომის დაშვება: მუდამ უნდა იბრძოლო, მოხსნა, დააფარო და პასიც ჩაჭრა". ეს სიტყვები ეკუთვნის იმ კალათბურთელს, ვინც ასოციაციის ისტორიაში მეოთხეა, მეორეჯერ რომ მოიპოვა წლის საუკეთესო მცველის ტიტული.

ყველა წლის საუკეთესო მცველი

| | | |
|---|---|---|
| 1982-83: | სიდნი მონკრიფი | (მილუოკი) |
| 1983-84: | სიდნი მონკრიფი | (მილუოკი) |
| 1984-85: | მარკ იტონი | (იუტა) |
| 1985-86: | ელვინ რობერტსონი | (ს.-ანტ.) |
| 1986-87: | მაიკლ კუპერი | (ლ. ა. ლეიკერზი) |
| 1987-88: | მაიკლ ჯორდანი | (ჩიკაგო) |
| 1988-89: | მარკ იტონი | (იუტა) |
| 1989-90: | დენის როდმანი | (დეტროიტი) |
| 1990-91: | დენის როდმანი | (დეტროიტი) |
| 1991-92: | დევიდ რობინსონი | (ს.-ანტონიო) |
| 1992-93: | აკიმ ოლაჯუონი | (ჰიუსტონი) |
| 1993-94: | აკიმ ოლაჯუონი | (ჰიუსტონი) |

ასოციაციის 27-მა მწვრთნელმა კი გუშინწინ დაასახელა საუკეთესო მცველთა ორი ხუთეული: I — გერი პეიტონი (სიეტლი), მუკი ბლეილოკი (ატლანტა), სკოტი პიპენი (ჩიკაგო), ჩარლზ ოკლი (ნიუ-იორკი), აკიმ ოლაჯუონი (ჰიუსტონი); II — ნეით მაკმილანი (სიეტლი), ლატრელ სპრიუელი (გოლდენ სტეიტი), დენის როდმანი (სან-ანტონიო), ჰორას გრანტი (ჩიკაგო), დევიდ რობინსონი (სან-ანტონიო). პიპენი სიაში ზედიზედ მესამედ მოხვდა, ოლაჯუონი — ზედიზედ მეორედ, სულ კი — მეხუთედ.



### აკიმ ოლაჯუონი

32 წლის. სიმაღლე 2,14 სმ. წონა 120 კგ.

წარმოშობით ნიგერიელია, შარშან მიიღო შეერთებული შტატების მოქალაქეობა. დაამთავრა ჰიუსტონის უნივერსიტეტი მენეჯმენტის განხრით.

1984 წლის დრაფტში განთესილი იყო პირველი წრის პირველ ნომრად. ამოირჩია „ჰიუსტონ როკიტსმა". 1984 წლიდან 1994 წლის 11 მაისის ჩათვლით NBA-ში ჩაატარა 824 მატჩი, დააგროვა 19 739 ქულა, 10 317 მოხსნა, 2 947 დაფარება.

9-ჯერ მიიღო მონაწილეობა (85-90, 92-94 წლებში) „ოლ-სტარის" ყოველწლიურ მატჩში. 5-ჯერ იყო დასახელებული სასტარტო ხუთეულში.





# ვიკინგები გვეპატიჟებიან

მავანს რომ ჰკითხო, ყაბულსა ხარ, მთელი ცხოვრება, ყოველდღიურად სპორტში ივარჯიშო, ჩემპიონი კი ვერასოდეს გახდე, არა მგონია დაგთანხმდეს. და მაინც არიან ასეთი ადამიანები და არის სპორტის ასეთი სახეობა, ერთ ჩია იაპონელ ბრძენკაცს მორიჰეი უესიბას რომ დაუნერგავს ამ ნახევარი საუკუნის წინათ. სპორტული ოსტატობის დაფილოსოფიის ამ ნაზავისთვის უესიბას აიკიდო დაურქმევია და რამდენიც არ უნდა ივარჯიშო, ოფლის ზღვაც რომ დააყენო, მაინც ვერ გახდები არამცთუ მსოფლიოს, ერთი პაწაწკინტელა უბნის ჩემპიონიც კი. საქმე ისაა, რომ ჩემპიონატი აიკიდოში არასოდეს გამართულა და არც გაიმართება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მასში თავდასხმის არცერთი ილეთი არ არის...

უესიბას გამონაგონს ამ ათი წლის წინათ საქართველოშიც გამოუჩნდნენ მიმდევრები და დღეს ჩვენში აიკიდოს რამდენიმე ჯგუფიც მოქმედებს. ქართული აიკდოს ამჟამინდელ წინაკაცს, ალექსი დოდაშვილს ამ რამდენიმე წლის წინ სანკტ-პეტერბურგში იაპონელ, შვედ, ინგლისელ და დანიელ აიკიდოს ოსტატთა საჩვენებელი გამოსვლა რომ უნახავს, ძირფესვიანად შესცვლია წარმოდგენა მასზე და დიდ ოსტატებთან კარგა ხნის ურთიერთობის შემდეგ მათ შორის ავტორიტეტიც დაუმსახურებია. შემდგომ თანამოაზრეებთან ერთად საქართველოს აიკიდოს ფედერაციაც ჩამოუყალიბებია და ამ სახეობის ცნობილი რუსი ოსტატისგან, აწგარდაცვლილ ვასილ ემელიანენკოსგან უდიდესი პატივიც რგებია — საკუთარი „ხაკამის" (აიკიდოისტის შარვალი) გადაცემა. დოდაშვილი ამჟამად პეტერბურგში აგრძელებს დაოსტატებას, საქართველოში კი კვალის გამგრძელებლად დაუტოვებია 25 წლის მირიან გეგენავა, რომელმაც ამასწინათ პეტერბურგში თვით ტაკეჯა ტამიტას (VII დანი), ულფ ევანსის (VI დანი) და ტორბინ დიუბერგის (IV დანი) ყურადღებაც კი დაიმსახურა. ამ უკანასკნელს შემოუთვლია, ხუთ ქართველ აიკიდოისტს (მირიან გეგენავას, გურამ მარგიანს, ზურაბ გავარდაშვილს, მალხაზ მეტრეველს და ამ სტრიქონების ავტორს) აგვისტოს დამდეგს კოპენჰაგენში, აიკიდოს დიდ საერთაშორისო სემინარზე ვიწვევ და ამის დამადასტურებელ ფაქსს ორიოდ დღეში მიიღებთო. ახლა ეს ხუთეული სპონსორებს დაეძებს დანიაში წასასვლელად, მანამდე კი თავდაუზოგავად ვარჯიშობს.

ნახევარი საუკუნის წინ უესიბას აიკიდო რომ შეუქმნია (ამას მან თავისი ცხოვრების სამოცდაშვიდი წელი მოანდომა), უთქვამს: „ვინც დაეუფლება აიკიდოს საიდუმლოს, სამყაროსა და საკუთარ თავში, შეუძლია თქვას: სამყარო — ეს მე ვარ! ამიტომაა, რაწამს მეტოქე ჩემზე თავდასხმას გადაწყვეტს, იმავწამსაა დამარცხებული, მან ხომ სამყაროს ჰარმონია უნდა დაარღვიოს". 86 წლის უესიბა შვილიშვილის დახმარებით ძლივსღა მიდიოდა ხოლმე ტატამამდე, მაგრამ როგორც კი მასზე ფეხს შედგამდა, მისი მომრევი კაცი არ იყო დედამიწაზე და ყოფილა შემთხვევა, ცენტნერნახევარი წონის გოლიათები ბერიკაცს ორიოდ წამში უგონოდ გაუგორებია.

**მამუკა კვარაცხელია**

# სარბიელი

# ტოტალიზატორი
## "CROCO"

თამაშის წესები:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.
ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით).
არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.
ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგების კოეფიციენტია — 4,0.
ფსონის მინიმალური თანხაა 50 000 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.
მოგებები გაიცემა ქვითარში აღნიშნული ბოლო მატჩის დღიდან ერთი კვირის განმავლობაში.
ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ეროვნული სტადიონის მეხუთე სალაროში 13-დან 16 საათამდე.

### უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 14 მაისი | ინგლისის თასის ფინალი | | | | |
| | მანჩესტერ იუნაიტედი—ჩელსი | | 1,8 | 2,5 | 2,2 |
| | გერმანიის თასის ფინალი | | | | |
| | ვერდერი — როტ-ვაისი | 0:1 | 1,2 | 3,0 | 3,0 |
| 15 მაისი | ალბასეტე — რეალ სოსიედადი | | 1,7 | 2,2 | 2,8 |
| | ბარსელონა — სევილია | 0:1 | 1,5 | 2,4 | 2,0 |
| | სარაგოსა — რეალი | | 1,5 | 2,2 | 3,5 |
| | ოსასუნა — სპორტინგი | | 1,4 | 2,2 | 4,0 |
| | ვალიადოლიდი — სელტა | 0:1 | 3,5 | 2,6 | 1,1 |
| | ლა კორუნია — ვალენსია | 0:1 | 1,2 | 2,2 | 3,5 |
| | ოვიედო — ლოგრონიესი | | 2,0 | 2,4 | 1,8 |
| | ატლეტიკო — რაიო ვალეკანო | | 2,2 | 2,2 | 1,8 |
| | სანტანდერი — ლერიდა | | 1,5 | 2,4 | 3,0 |
| | ბილბაო — ტენერიფე | 0:1 | 1,3 | 2,0 | 3,5 |

ფორმულა-1. მონაკოს დიდი პრიზი
პირველი სამეული (თანმიმდევრობით) — 10,0

ჩემპიონთა თასის აღება

| | |
|---|---|
| მილანი | 1,8 |
| ბარსელონა | 1,7 |

18 მაისის ტურის შემდეგ ცხადდება შესვენება. მუშაობის განახლების თარიღი გამოცხადდება. მოგებები გაიცემა 20 მაისს

ერთი და იგივე თამაშის ერთ ვარიანტში ორჯერ შეტანა აკრძალულია

### მსოფლიოს ჩემპიონატი

| | ჩემპიონი (17.07) | ფინალი (13.07) | 1/2 (10.07) | 1/4 (05.07) | 1/8 (30.06) |
|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 2,5-1,6 | 1,8-1,7 | 1,4-2,1 | 1,1-3,0 | -20,0 |
| გერმანია | 3,2-1,5 | 1,9-1,6 | 1,5-2,0 | 1,1-3,0 | -20,0 |
| იტალია | 3,2-1,5 | 1,9-1,6 | 1,5-2,0 | 1,1-2,6 | -15,0 |
| არგენტინა | 3,2-1,5 | 1,9-1,6 | 1,5-2,0 | 1,1-2,6 | -15,0 |
| ჰოლანდია | 5,0-1,2 | 2,5-1,3 | 1,9-1,6 | 1,1-2,5 | -12,0 |
| კოლუმბია | 8,0-1,1 | 3,5-1,2 | 2,4-1,3 | 1,3-2,2 | -3,0 |
| ესპანეთი | 10,0- | 6,0-1,1 | 2,5-1,2 | 1,6-1,9 | -2,6 |
| მექსიკა | 15,0- | 8,0- | 4,0-1,1 | 1,6-1,9 | 1,1-2,2 |
| აშშ | 15,0- | 8,0- | 4,0-1,1 | 1,6-1,9 | 1,1-2,2 |
| ნიგერია | 20,0- | 10,0- | 4,5-1,1 | 1,7-1,8 | 1,2-2,1 |
| კამერუნი | 25,0- | 10,0- | 4,5-1,1 | 1,7-1,8 | 1,2-2,1 |
| ბელგია | 30,0- | 18,0- | 6,0-1,1 | 1,7-1,8 | 1,2-2,1 |
| მაროკო | 35,0- | 20,0- | 8,0-1,1 | 1,8-1,7 | 1,4-2,0 |
| ნორვეგია | 35,0- | 20,0- | 8,0-1,1 | 1,8-1,7 | 1,4-2,0 |
| შვედეთი | 40,0- | 20,0- | 8,0-1,1 | 1,9-1,6 | 1,4-2,0 |
| ირლანდია | 50,0- | 30,0- | 12,0-1,1 | 2,1-1,4 | 1,4-2,0 |
| რუმინეთი | 50,0- | 30,0- | 12,0-1,1 | 2,1-1,4 | 1,4-2,0 |
| რუსეთი | 60,0- | 35,0- | 12,0-1,1 | 2,1-1,4 | 1,4-2,0 |
| ბულგარეთი | 60,0- | 35,0- | 12,0-1,1 | 2,1-1,4 | 1,4-2,0 |
| საბერძნეთი | 70,0- | 40,0- | 15,0-1,1 | 2,4-1,3 | 1,7-1,8 |
| შვეიცარია | 70,0- | 40,0- | 15,0-1,1 | 2,4-1,3 | 1,7-1,8 |
| ბოლივია | 80,0- | 60,0- | 30,0- | 2,6-1,1 | 1,7-1,8 |
| კორეა | 300,0- | 200,0- | 100,0- | 8,0-1,1 | 2,3-1,1 |
| საუდ. არაბეთი | 300,0- | 200,0- | 100,0- | 8,0-1,1 | 2,5-1,1 |

მაგალითისთვის: ჰოლანდიის სტრიქონისა და ფინალის სვეტის გადაკვეთაზე წერია 2,5-1,3. პირველი რიცხვი (2,5) ნიშნავს კოეფიციენტს ფსონისთვის, რომ ჰოლანდია გავა ფინალში, ხოლო მეორე რიცხვი (1,3) ნიშნავს კოეფიციენტს ფსონისთვის, რომ ჰოლანდია ვერ გავა ფინალში.

ქვითარზე აღინიშნება ფსონის ჩაბარების თარიღი და მოგების შემთხვევაში მიიღებთ თანხას იმ კოეფიციენტით, რომელიც მოქმედებდა ფსონის ჩაბარების დროს.

## ყურადღება!

**მალე, ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის სტარტის წინა დღეებში გაიხსნება გაზეთ „სარბიელის“ კლუბი სპორტის მოყვარულთათვის!**

ეს იქნება გულშემატკივართა თავშეყრის ადგილი და ყველაფერი მათი ინტერესების გათვალისწინებით გაკეთდება. კლუბში მოეწყობა შეხვედრები სპორტის ვარსკვლავებთან, ჩატარდება სხვადასხვა სახის ვიქტორინა და კონკურსი, დარბაზში დამონტაჟებული ეკრანები დაეთმობა სატელიტური ანტენით მიღებულ სპორტულ რეპორტაჟებს და სპორტულ ვიდეოპროგრამებს, იმუშავებს „სარბიელის“ ტოტალიზატორი CROCO, სტუმრებს მოემსახურება კაფე-ბარი.

პრიორიტეტით ისარგებლებენ კლუბის წევრები, რომლებიც საწევრო შენატანის სანაცვლოდ სპეციალურ საბუთს მიიღებენ. ამ საბუთის მფლობელნი კლუბში უფასოდ დაიშვებიან, სხვებისთვის კი გაიყიდება ერთჯერადი ბილეთები.

**კლუბი იმუშავებს თბილისში, სასტუმრო „აჭარის“ მე-18 სართულზე.**

**კლუბში გაწევრიანების მსურველებმა მოგვმართეთ „სარბიელის“ რედაქციაში 17 მაისიდან ყოველ სამშაბათსა და პარასკევს 11-დან 14 საათამდე. დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ 39-48-29.**

# ტოტოლოტო
## საფეხბურთო პროგნოზი

ტირაჟი № 15 22-26 მაისი

| | | პროგნოზი | |
|---|---|---|---|
| | საქართველოს ჩემპიონატი | | |
| 1 | შევარდენი 1906 — კოლხეთი 1913 | 5 4 1 | 1 X |
| 2 | სამტრედია — ტორპედო | 6 3 1 | 1 |
| 3 | დინამო — ბათუმი | 5 3 2 | 1 X |
| 4 | ივერია — დილა | 6 2 2 | 1 |
| | საქართველოს თასის ფინალი | | |
| 5 | დინამო — მეტალურგი | 5 3 2 | 1 X |
| | რუსეთის ჩემპიონატი | | |
| 6 | ტორპედო (მ) — ლადა | 5 3 2 | 1 X |
| 7 | სპარტაკი (ვლ) — სპარტაკი (მ) | 3 3 4 | 1 X 2 |
| 8 | როტორი — დინამო (მ) | 3 5 2 | 1 X |
| | უკრაინის ჩემპიონატი | | |
| 9 | ჩერნომორეცი — შახტიორი | 6 3 1 | 1 |
| 10 | ვერესი — დინამო (კ) | 5 3 2 | 1 X |
| 11 | ვოლინი — დნეპრი | 2 4 4 | X 2 |

**რუსულ მანეთებზე მოთამაშეთა საყურადღებოდ!**

ტოტოლოტოს დებულებაში კვლავ ცვლილებაა. იმისათვის, რომ ავამაღლოთ მოთამაშეთა დაინტერესება, ამიერიდან თითოეულ მოთამაშეზე, რომელიც გამოიცნობს თერთმეტივე შედეგს, შემოსული თანხის მიუხედავად, გაიცემა 200 000 რუსული მანეთი. ვარიანტის ფასი კვლავ 100 მანეთია.

მოგებები გაიცემა ხუთშაბათობით, 15 საათიდან

შევსებული ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა: თბილისში — ყოველი კვირის ხუთშაბათი, 15 საათამდე, ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში. ცნობებისათვის დარეკეთ: 96-32-61


ტურისტული ფირმა „იმედი-92“
გთავაზობთ მოგზაურობას შემდეგ ქვეყნებში:

ჰოლანდია-ბელგია. პირველად თბილისიდან პირდაპირი რეისი თბილისი — ამსტერდამი. გასვლა 25 მაისს. ფირმა დაგეხმარებათ მანქანების შეძენაში. სასწრაფოდ დაგეხმარებით „ბენი-ლუქსის“ გახსნაში.
ეგვიპტე (კაირო-ალექსანდრია) — მგზავრობა თვითმფრინავით პირდაპირი რეისით თბილისიდან თბილისამდე.
საბერძნეთი (სალონიკი) — მგზავრობა თვითმფრინავით პირდაპირი რეისით, ასევე ავტობუსით.
ბულგარეთი (ვარნა) — თურქეთის გავლით. გასვლა თბილისიდან „მერსედესის“ ტიპის ავტობუსით.
ლიბანი (ბეირუთი) — მგზავრობა თვითმფრინავით. პირდაპირი რეისი, პირველად თბილისიდან.
სინგაპური — მგზავრობა თვითმფრინავით. პირდაპირი რეისი, პირველად თბილისიდან.
ჩინეთი (ხარბინი) — მგზავრობა თვითმფრინავით. პირდაპირი რეისი, პირველად თბილისიდან.

ჩვენი მისამართია: ალ. ყაზბეგის გამზ. 42, ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრო, IV სართული. ტელეფონები: 39-36-78; 38-11-14; 39-24-32.

იყიდება

მოსკვიჩი 2141, 03-ის ძრავით, 1991 წელს გამოშვებული

ბენზინმზიდი ზილ-131, სამხიდიანი, ტევადობა 8 200 ლ.

ტელეფონი 39-36-78

Unlimited Hot Water




იყიდება

ისრაელის წარმოების

წყლის გამაცხელებელი

ATMOR SUPER-5

(5 კვტ. 220 ვ.)

ფასი 80 $.

ტელ. 39-36-78

საქართველოს ჩემპიონატი

# ბუმბერაზთა ჭიდილი

ხუთშაბათი, 5 მაისი. რუსთავის „პივის ბოჭკები"

**აზოტი 22 (15) — მერკური 13 (3)**

აზოტი: ი. ლეჟავა; მინდორაშვილი, ჩიქვინიძე, ზ. ბერიშვილი, ლ. ბერიშვილი; გოგიშვილი, ხუციშვილი; მთიულიშვილი, კაკაბაძე (მლებრიშვილი, 65), ცაბაძე; ზ. მოდებაძე, მაჩიტიძე, ყანჩაველი, ჯიმშელაძე; ქერდიყაშვილი. — პლ: ჩიქვინიძე (29), ცაბაძე (31), ქერდიყაშვილი (77); 2გ: ლეჟავა (31, 77); ს: ლეჟავა (37)

მერკური: გ. ცინცაძე; ხაჩიძე (ვ. კვარაცხელია, 43), ჯანელიძე, ძნელაძე, სორდია; შ. მოდებაძე, დევნოზაშვილი (ჩაჩუა, 43); ჩიქავა, ბერიაშვილი (გურ. აბაშიძე, 43), პატარაია; ტყეშელაშვილი, ნადირაძე, პარნიკანაშვილი, თურქაძე (ზოიძე, 52); კაპანაძე (ნ. მგელაძე, 55). — 2ლ: მგელაძე (70), ტყეშელაშვილი (83); ს: მოდებაძე (34)

მსაჯი ზურაბ რეხვიაშვილი (42 + 43)

„აზოტმა" „მერკურის" წინამორბედ „შევარდენს" 13 აპრილს იქვე 22:6 მოუგო. მასპინძლებმა ამჯერადაც იმარჯვეს, თუმც თამაში სულ სხვაგვარად წარიმართა. რუსთაველებს აკლდათ ტანმაღალი რაფავა. თბილისელებს „შევარდენისა" და „ამირანის" გაერთიანების შემდეგ, ეტყობა, ჯერაც არ დაუდგენიათ ოპტიმალური შემადგენლობა. პირველი ნახევრის წაგების შემდეგ „მერკურმა" საფუძვლიანად შეცვალა თხუთმეტეული. შემდგომმა თამაშმა გვიჩვენა, რომ შემცვლელებმა გუნდი აშკარად გააძლიერეს. მატჩს სამი კვირის წინანდელთან შედარებით მცირერიცხოვანი აუდიტორია ჰყავდა. ქროდა გრილი ნიავი. საწყის 20 წუთში ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა, იმდენად ხშირი იყო დაძაბულობით გამოწვეული შეცდომები. მე-19 წუთზე ლეჟავა პირველად ჩაერთო იერიშში, მაგრამ იქით არ გაიქცა, საითაც უმჯობესი იქნებოდა. 28-ე წუთზე მეორე ჩართვა განხორციელდა და მინდორაშვილმაც შეაღწია მეტოქის 22-მეტრიან მოედანში, იქ მოგებული შერკინების შემდეგ კი ზ. ბერიშვილმა მოატყუა მეტოქეები და ჩიქვინიძე კარის პირისპირ გაიყვანა, სადაც რუსთაველთა შუამარბმა მეტოქეებთან ჭიდილში ლელო გაიტანა. თამაშის განახლებისთანავე თბილისელებმა უშნოდ მოისროლეს ბურთი. მას დაეწაფა ზ. მოდებაძე, გადაუგდო წამოსწრებულ ქერდიყაშვილს, ამან კი ცაბაძეს. „აზოტი" ერთბაშად 12 ქულით დაწინაურდა, შესვენებამდე კი გუნდებმა თითო საჯარიმოც შეაგდეს. მეორე ტაიმის დაწყების კვალად დაიწყო „მერკურის" შტურმიც. სტუმრებმა უკანა ხაზი გადაიხალისეს. ჩვეულ პოზიციაზე — შერკინების ნახევარმცველად გადაყვანილმა ჯანელიძემ მორკინალები აათამაშა. „მერკური" მეტოქის ნახევარზე დაფუძნდა და ბარემ 25 წუთი იქ გაატარა, მაგრამ ამაოდ. „აზოტი" თავს უდრეკად იცავდა, თანაც მასპინძლებს იღბალი სწყალობდათ. ასე მაგალითად, მეორე ნახევრის მე-7 წუთზე მოდებაძის მიერ დარტყმული საჯარიმო ძელს მოხვდა, მე-15 წუთზე მის მიერვე დარტყმული ჰრეკნი კი კარს ოდნავ ასცდა. მართალია, „მერკურს" დიდი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მეტისმეტმა სულწასულობამ თავზე აუბნია. იმის მაგივრად, რომ ხელსაყრელ პოზიციებზე დანიშნული საჯარიმოები კარში დაერტყათ და სხვაობა თანდათან შეემცირებინათ, თბილისელებს ერთთავად ლელოს გატანაზე ეჭირათ თვალი, რის გამოც მეორე ნახევარში ცხრაჯერ — მე-3, მე-17, მე-18, 21-ე, 24-ე, 27-ე, 37-ე, 38-ე და 41-ე წუთებზე გაათამაშეს კარში დასარტყამი საჯარიმოები და ბოლო შემთხვევის გარდა, ვერც იხეირეს, თუმცა მიზანთან ერთობ ახლოს იყვნენ. 25-ე წუთზე „აზოტმა" პირველად გადაალწია მეტოქის ნახევარზე, პირველი ლელოს გაშვებას კი აბრაგანი და ჩიქვინიძის მორიგი თავდასხმა მიაყოლა. მასპინძლებმა ბურთი დაიბევს, ლელოსთან მოგებული შერკინების შემდეგ გოგიშვილმა მოხდენილად მიაღწია ლელომდე, მაგრამ იქ ბურთის დამიწება არ დაანებეს. დაინიშნა კიდევ ერთი შერკინება, რომელიც რუსთაველმა მორკინალებმა ძალისმიერი ლელოთი დააგვირგვინეს და სტატუს-კვო ალადგინეს, რის შემდეგაც ნიავი ჩადგა და მზემაც ცოტა ხნით გამოანათა.

ოთხშაბათი, 4 მაისი

ქუთაისის „დინამოს" სტადიონი. წვიმა

**აია 20 (20) — ყორჩები 8 (3)**

აია — 2ლ: №11 თედოშვილი, №3 ფირცხალავა; 2გ: №12 მაჩიტიძე, №10 ნ. ძაგნიძე; ს: ძაგნიძე; ა: მაჩიტიძე. ყორჩები — ლ: (ბურჯი) ესაკია; ს: №8 ტეფნაძე. მსაჯი გოჩა აბაშიძე

აგრარული უნივერსიტეტი

**შევარდენი 7 — თბილისი 56**

თბილისი — 9ლ: დგებუაძე, სიხარულიძე-2, ალანია, რეხვიაშვილი, გეგელაშვილი, კობახიძე, ქერაშვილი, ბუგიანიშვილი; 4გ: წეველიძე-3, ობოლაძე; ა: გეგელაშვილი. მსაჯი ნარიმანაშვილი

ოთხშაბათი, 11 მაისი

ვაკე

**თბილისი 25 (13) — ლელო 12 (12)**

თბილისი — 4ლ: №6-8 ობოლაძე-3, №3 მაჭუტაძე; გ: №9 გეგელაშვილი; ს: №15 წეველიძე. ლელო — 2ლ: №13 ხურციძე, №14 ქორთიანი; გ: №15 ქავთარაძე. მსაჯი ავთო ლიბრაძე

ქუთაისის სარაგბო მოედანი

**აია 20 (14) — აზოტი 13 (3)**

აია — ლ: №3 სვანაძე (11:0); პს: №10 ძაგნიძე (3:0), №12 მაჩიტიძე (14:0, 20:13); 2ა: ძაგნიძე (6:0), მაჩიტიძე (17:6)

აზოტი — ლ: №11 ლ. ბერიშვილი (17:11); გ: №15 ლეჟავა (17:13); 2ს: ლეჟავა (14:3, 14:6)

მსაჯი პაატა ნარიმანაშვილი (აკადემია)

ლიდერთა მატჩი დაძაბული გამომდგარა; მეტადრე მისი ფინალი, როცა ზოგიერთი რუსთაველი მორაგბე და ზოგიერთი მაყურებელი ერთურთს გაშაირებია. ქუთათურთა დამრტყმელებს — ძაგნიძესა და მაჩიტიძეს კვლავ შეუგდიათ არეკნები, ლელო კი მასპინძლებს მორკინალთა ძალისმიერად მიძალების შემდეგ გაუტანიათ. რუსთაველთაგან ძლიერად უთამაშია შუამარბ აფციაურს, „აიაში" კი გამოჩენილა კიდევ ერთი ვეტერანი — კახა გაბრიჩიძე.

ქუთაისიდან ერთი უსიამო ამბავი შევიტყვეთ: „აიას" მოთამაშეთა ერთი ნაწილი თურმე კვლავაც ირიცხება და ვარჯიშობს „ერქვანში", რომელიც ვერასგზით შეპლევია ლიგის რაგბში გადასვლის აზრს და მალე დსთ-ის ღია პირველობაზე და, რალა თქმა უნდა, ასევე ღია თასზე ასპარეზობას აპირებს. როგორც გაირკვა, მთავარი საცდური მაინც ყოფილა მითი, რომლის თანახმადაც საქართველო ითამაშებს ლიგის რაგბის საიუბილეო მსოფლიო თასზე, რომელიც გაისად შემოდგომაზე ჩრდილოეთ ინგლისში უნდა გაიმართოს. ადრეც დაგვიწერია და ერთხელაც შევნიშნავთ, რომ ამ თასზე იასპარეზებს ათი ქვეყანა: ავსტრალია, ინგლისი, ახალი ზელანდია, უელსი, საფრანგეთი, პაპუასეთი, სამხრეთი აფრიკა, ფიჯი, ტონგა და სამოა, ამათგან კი რომელია საქართველო, ალბათ ლიგის რაგბის ქუთათურ მოტრფიალეებს უკეთ მოეხსენებათ.

| | თ | მ | ფ | ნ | — | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აია | 4 | 4 | 0 | 0 | - | 96: 27 | 10 | 8 |
| თბილისი | 3 | 2 | 0 | 1 | - | 84: 25 | 13 | 4 |
| აზოტი | 3 | 2 | 0 | 1 | - | 79: 41 | 12 | 4 |
| მერკური | 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 57: 31 | 8 | 1 |
| ლელო | 2 | 0 | 0 | 2 | - | 20: 69 | 3 | 0 |
| ყორჩები | 2 | 0 | 0 | 2 | - | 17: 64 | 1 | 0 |
| შევარდენი | 2 | 0 | 0 | 2 | 1 | 10:106 | 1 | -1 |

* „მერკურს" შეცვლათა ლიმიტის დარღვევისათვის, „შევარდენს" კი — განუცხადებელი მორაგბის თამაშებისათვის დააქვითათ თითო ქულა

## მეორე ჯგუფი

6.V. ვარკეთილი: უნივერსიტეტი 22 (3ლ, 2გ, ს) — რაში 5 (ლ). 7.V. ვაკე: ქორები 80 (29) (14ლ, 5გ) — ბათუმის დელფინები 3 (3) (ს); ხაშური 3 (ს) — ქუთაისის აიეტი 20 (3ლ, გ, ს). 10.V. ვაკე: თბილისის დინამო 32 (12) (5ლ, 2გ, ს) — დელფინები 10 (10) (ლ, გ, ს)

## უცხოური კრიალოსანი

მსოფლიო თასის მესამე გათამაშებაც ურუსებოდ ჩატარდება. მიზეზი ამჯერად პოლიტიკურის ნაცვლად სპორტულია: რუსეთმა 7 მაისს ბუქარესტში შესარჩევი შეჯიბრების გადამწყვეტი მატჩი 0:33 წააგო რუმინეთთან. რუმინეთი შეიქნა მეთერთმეტე გუნდი, ვინაც საგაისოდ სამხრეთ აფრიკაში გამგზავრება დაიბევა. მხარეების ურთიერთშეთანხმებით მატჩი იმავდროულად ფირა-ს ჭირველობის A1 ჯგუფის შეხვედრადაც ჩაითვალა. რუმინეთი ამ მოგებით ამ ასპარეზს ერთი წლით გამოეთხოვა, რუსეთი კი გაისად რუმინეთის გარდა ვერც საფრანგეთს ეთამაშება და ვერც იტალიას, ვინაიდან პარადოქსული გადაწყვეტილებებით ცნობილმა ფირა-მ (ბოგანო ქვეყნების საერთაშორისო გაერთიანებამ) ბობოლა სამეული თავისი შეჯიბრებებიდან გაათავისუფლა, აქაოდა მსოფლიო თასის გამო ჩვენთვის სად გეცლებათო.

ზღვისრეთის მშვენება ტონგამ, რომელმაც შარშან ფიჯის ჯობნით მსოფლიო თასზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა, ახალზელანდიური ტურნეს პირველი თამაში 7 მაისს ნიუ-პლიმუთში მოუგო იქაურ ტარანაკის 23 (8) (3ლ) : 16 (13) (ლ).

7 მაისსავე თასის ფინალებით ერთდროულად დასრულდა საშინაო სეზონი ინგლისსა და უელსში. ლონდონის გარეუბან თვიქენემში 68 ათასი კაცი დაესწრო წლევანდელ ჩემპიონ „ბასისა" და თასის შარშანდელ მფლობელ „ლესტერის" თამაშს. შესვენებამდე ბასელმა კალარდმა და ლესტერელმა ჰარისმა სამ-სამი საჯარიმო შეაგდეს, მაგრამ მერე ჰარისს ოთხი დარტყმა გაუცუდდა, „ბასმა" კი ორი ლელო გაიტანა და 21 (9) (2ლ, გ, 3ს) : 9 (9) (3ს) მოიგო, რითაც იშვიათი რეკორდი დაამყარა — ამ დღეს თასის ფინალში მერვედ ასპარეზობდა და მერვედვე (!) გაიმარჯვა. დასწრების მაჩვენებელიც სარეკორდო გამოდგა — ამდენი მოსეირე საკლუბო თამაშს მანამდე არსად დასწრებია.

უელსის თასის ფინალში კარდიფის „არმზ პარკზე" წინა სამი გათამაშების გამარჯვებული, დასავლეთ უელსის „ლანელი" „კარდიფს" ეთამაშა. მე-3 წუთზე მასპინძელი ადრიან დევისის აბრაგანის მოგერიებისას ორი ლანელელი ერთურთს შეეჯახა და ბურთი ჰოლს ჩაუვარდა ხელთ 7:0. მერე უელსის კაპიტანმა ი. ევანსმა ლელოთი, სტივენსმა კი საჯარიმოთი „ლანელი" 8:7 დააწინაურეს, მაგრამ დევისმა საჯარიმოთი და რეიერმა ლელოთი (მე-40 წუთზე) ისევ „კარდიფი" გაიყვანეს წინ 15:8. მეორე ნახევარში ანგარიში აღარ შეცვლილა, თუმცაკი ლელოს გატანის ნაღდი შანსი გუნდებს მინიმუმ თითოჯერ მაინც მიეცათ.

უელსის თასს „სვეილეტი" სპონსორობს, ინგლისისას — „პილკინგტონ გლასი". ახლა გამოცხადდა, რომ „კოკა-კოლა" რაგბის მსოფლიო თასის ოფიციალური სპონსორი გახდარა, რაც მას ანიჭებს უფლებას, მსოფლიო თასის ლოგო თავისი ნაწარმის წარმოსაჩენად გამოიყენოს, გაისად სამხრეთ აფრიკაში გასამართი თამაშების დროს სტადიონებზე ოთხ გამორჩეულ ადგილას დაადგმევინოს საკუთარი სარეკლამო ფარი, სასმელი კი ერთპიროვნულად მოახმარებინოს მონაწილეებს, ოფიციალურ პირებსა და მაყურებლებს ერთთვიანი ტურნირის განმავლობაში. ფირმის მიერ ნაწარმოები ოთხი სახეობის გამაგრილებელი სასმელი — „კოკა-კოლა", „კოუკი", „ფანტა ორინჯი" და „სპრაიტი" მსოფლიოში უპირატესად მოხმარებად ხუთეულში შედის, ნაწარმი 195 ქვეყანაში ვრცელდება, დღეში კი თურმე 685 მილიონი ბოთლი ისმება დედამიწის ზურგზე.

სამხრეთ ნახევარსფეროს პროვინციათა პირველობის ფინალში ამ უქმეებზე ნატალი ქვინზლენდს ეთამაშება. სამხრეთაფრიკელებს ოკლენდთან თამაშამდეც განაღდებული ჰქონდათ ფინალში მოხვედრა, რაკიღა თავის დროზე ახალი სამხრეთი უელსი არ ეწვიათ და მუქთი გამარჯვება მასპინძლებს ერგოთ, მაგრამ დურბანის „კინგზ პარკზე" მატჩის საცქერლად 42 ათასი კაცი მაინც მოგროვდა. თამაში ულიმღამო გამოვიდა, ვინაიდან მსაჯმა სტვენით ტვინი წაიღო. სამაგიეროდ, ჭარბად იყო ბინძური თამაში, ერთ მომენტში კი სტუმართა ბურჯი დაუდი იმდენადაც გაკადნიერდა, რომ მასპინძელთა ფრთის მორკინალ ბლეიკვეის მსაჯის ცხვირწინ უთავაზა მუშტი.

10 ნომრად მოთამაშე სტენსნესმა ოკლენდი პირველსავე წუთზე არეკნით დააწინაურა. მერე ჰოვარდის ორ საჯარიმოს ნატალის 10 ნომერმა ჰონიბალმა ერთით უპასუხა. 34-ე წუთზე გავიდა მატჩის ერთადერთი ლელო: რაქიდან მიღებული ბურთი ნატალის 9 ნომერმა დიუპრემ მეტოქის ლელოში შეაგორა, იქ კი ყველას ჰაინც ფლუდლერმა მიასწრო. მანვე 46-ე წუთზე მოედნის შუა ხაზიდან შეაგდო საჯარიმო, მაგრამ სტენსნესმა მეორე არეკნიც გაიტანა და ოკლენდი 12:11 დააწინაურა. ყველაფერი 65-ე წუთზე გადაწყდა, როცა ჰონიბალმა კიდევ ერთი საჯარიმო შეაგდო.

კვირას ქვინზლენდი ბრისბენში მასპინძლობდა ტაკაპუნას ჩრდილოეთ ნავსაყუდელს, რომელსაც ამ თამაშამდე წაუგებლად მიეღწია. სტუმრები ახლაც იგებდნენ, მაგრამ ქვინზლენდელებმა მეორე ნახევარში ორი ლელო გაიტანეს (ფორლიმ და ჰორანმა) და თუმც ნავსაყუდელი ღირსეულად, ანუ არაუმეტეს ერთი გარდასახული ლელოთი დამარცხდა, რისთვისაც ერთი ქულა დაიმსახურა, ქვინზლენდი პირადი მოგებით ქვეჯგუფში პირველ ადგილზე და ფინალში გავიდა.

### ზე-ათის სერიალი

7.V. ნატალი 14 (8) — ოკლენდი 12 (9). 8.V. ქვინზლენდი 13 — ჩრდილოეთი ნავსაყუდელი 10

„ა" ქვეჯგუფი

| | მ | ღ | ნ | ქ |
|---|---|---|---|---|
| ქვინზლენდი (ავსტრ) | 3 | 1 | 0 | 13 |
| ჩრდ. ნავსაყ. (ახ. ზელ) | 3 | 1 | 0 | 13 |
| ოტაგო (ახ. ზელ) | 2 | 1 | 1 | 9 |
| ტრანსვაალი (სამხრ. აფრ) | 2 | 0 | 2 | 8 |
| ალმ. კონცხი (სამხრ. აფრ) | 0 | 0 | 4 | 0 |

„ბ" ქვეჯგუფი

| | მ | ღ | ნ | ქ |
|---|---|---|---|---|
| ნატალი (სამხრ. აფრ) | 4 | 0 | 0 | 16 |
| ახ. სამხ. უელსი (ავსტრ) | 3 | 0 | 1 | 12 |
| მანუ სამოა | 2 | 1 | 1 | 9 |
| ოკლენდი (ახ. ზელ) | 1 | 3 | 0 | 7 |
| ვაიკატო (ახ. ზელ) | 0 | 1 | 3 | 1 |



# კრისტალური ტექნიკის ფორვარდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარ საუკუნეს მიტანებულ ჩემი თაობის გულშემატკივრებს უთუოდ კარგად ახსოვთ საქართველოში ხელბურთის პირველი ნაბიჯები.

60-იანი წლები საქართველოში სახელბურთო ბუმის პერიოდი იყო, ნებისმიერი რანგის შეჯიბრებას მაყურებელი არ აკლდა. თბილისის „ბურევესტნიკის" ყოველ მატჩზე ხომ ახლადაგებულ სპორტის სასახლეში ნემსიც ვერსად ჩავარდებოდა.

სტუდენტთა მშვენივრად აწყობილ გუნდს შედეგებიც ჩინებული ჰქონდა. 1962 წელს „ბურევესტნიკი" საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონი გახდა, ორი წლის შემდეგ კი გაიმეორა ეს დიდი წარმატება. ამის გარდა, არაერთ საერთაშორისო ტურნირშიც იმარჯვა. ამ განუმეორებელ ანსამბლშიც კი ყველასგან გამოირჩეოდა ვირტუოზული ტექნიკის მქონე ფორვარდი ჯემალ ცერცვაძე. თბილისელი მაყურებელი მატჩებზე უპირატესად მისი თამაშის საცქერლად დადიოდა, ისევე, როგორც ფეხბურთსა თუ კალათბურთში პაიჭაძის, მესხის, „პწიკა" უგრეხელიძის ანდა საკანდელიძის ოსტატობის სანახავად. სანახაობა კი მართლაც დაუვიწყარი იყო. იშვიათად, რომ ცერცვაძის მიერ ნატყორცნი ბურთი მეკარეს მოეგერიებინოს. მაყურებელი უფრო მაშინ გაიხარებდა ხოლმე, როცა „ბურევესტნიკის" მერვე ნომერი 9-მეტრიან საჯარიმოს, ანდა პენალტს ასრულებდა. „ჯემალ, ცირკი!" — მოისმოდა გადაჭედილი ტრიბუნიდან მორიგი უნიკალური გოლის მოლოდინში. პენალტისას ცერცვაძე მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ორსამ ისეთ ცრუ მოძრაობას აკეთებდა, რომ ბოლოსდაბოლოს ყველაზე „ნერვო" მეკარეც კი აყვებოდა ხოლმე. შედეგი მუდამ ერთი იყო — მეკარე იატაკზე, ბურთი ბადეში. არანაკლებ ეფექტური იყო ზუსტი ტყორცნები 9-მეტრიანი საჯარიმოდან, რომლებსაც კარისკენ ზურგშექცეული ასრულებდა.



ჯემალ ცერცვაძე

დაიბადა 1939 წლის 7 მაისს თბილისში
სიმაღლე 187 სმ, წონა 82 კგ (ამჟამად 90 კგ)
1962 და 1964 წლების სსრკ ჩემპიონი
მსოფლიოს ოთხი ჩემპიონატის მონაწილე (1961-1970)
ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებული აქვს 78 მატჩი.
გაიტანა 285 გოლი
ამჟამად არის საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, სეოკ-ის თბილისის განყოფილების თავმჯდომარე, სააქციონერო საზოგადოება „მასპინძლის" დირექტორი

ერთი სიტყვით, ხელბურთისთვის დაბადებული კაცი მთელი თხუთმეტი წელი სასწაულებს ახდენდა მოედანზე, ერთ-ერთი შვედური გაზეთის თქმით, „თავისი კრისტალური ტექნიკის წყალობით".

მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა. ამ დღეებში 55 წელი შეუსრულდა მსოფლიო ხელბურთის 60-იანი წლების ერთ-ერთ უძლიერეს თავდამსხმელს. ბატონ ჯემალს, დაბადების დღე მივულოცეთ და „ოქროს ხანაზე" რამდენიმე შეკითხვა დავუსვით.

**— ბატონო ჯემალ, 60-იანი წლების ბოლოს მაშინ ჩვენთვის ახალი თამაშით სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები, უმთავრესად კალათბურთელები დაინტერესდნენ. თქვენი გაცნობა როგორ მოხდა?**

— მეც კალათბურთელი ვიყავი, რკინიგზის სპორტსკოლის გუნდში ვთამაშობდი. კარგი გუნდი გვყავდა — თანატოლთა საკავშირო პირველობა მოვიგეთ 1957 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ „დინამოში" ამიყვანეს. იმხანად თბილისში „დიდ ხელბურთს" — 11X11 მისდევდნენ, ბიჭები პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტადიონზე ვარჯიშობდნენ. ჩემი მეგობარი საშა ოდიშვილი შემიჩნდა, წამოდი ნახე როგორი თამაშია, შენ ნამდვილად გამოდგებიო. კალათბურთის ბურთს ცალ ხელში ადვილად ვიჭერდი და იმიტომაც მიჩიჩინებდა. დამყოლია, რამდენჯერმე ბიჭებთან გავივარჯიშე და მალე საბოლოო არჩევანიც გავაკეთე. ერთი წლის შემდეგ ლენინგრადში გამოვედით 8 ქალაქის ტურნირზე (მაშინ საკავშირო ჩემპიონატები არ ტარდებოდა). ჩვენ ასეთი დონის შეჯიბრებაში პირველად ვთამაშობდით, რუსეთისა და უკრაინის გუნდებს კი უკვე საერთაშორისო მატჩების გამოცდილებაც ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, ურიგოდ არ გვითამაშია — მეოთხე ადგილი დავიკავეთ, მე კი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გავხდი. თუ არ ვცდები, 64 გოლი გავიტანე. ამის შემდეგ საკავშირო ნაკრების კანდიდატთა სიაში მოვხვდი და 1959 წლის სექტემბერში პირველ ოფიციალურ მატჩშიც მივიღე მონაწილეობა — კიევში ხრუშჩოვის სახელობის სტადიონზე პოლონელებს ვეთამაშეთ „დიდი ხელბურთი". შემდეგ საბოლოოდ გადავედით 7-კაციანზე.

**— 1962 წელს, ჩვენთვის „ოქროს" ჩემპიონატში „ბურევესტნიკმა" წაუგებლად იასპარეზა — 4 მოგება, 3 ფრე. ყველაზე მძიმე რომელი მატჩი იყო?**

— ბოლო ტურის თამაში მასპინძლებთან, კაუნასის „ატლეტასთან". ჩვენ ერთი ქულით ვუსწრებდით ლიტველებს, ასე რომ გამარჯვების შემთხვევაში ჩემპიონები ისინი ხდებოდნენ. მთელი თამაში „ბურევესტნიკის" უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე „ატლეტასმა" შეძლო ანგარიშის გათანაბრება — 15:15. დარჩენილი დრო უსაშველოდ გაიწელა. მოწინააღმდეგე ყოველ ღონეს ხმარობდა გამარჯვების მისაღწევად. ცოტა მსაჯებიც ეხმარებოდნენ. მაყურებლები ხომ მთლად გადაირივნენ. ერთ მომენტში, როცა მასპინძელთაგან ბურთი აუტში გადიოდა, ერთ-ერთი მაყურებელი მოედანზე გამოვარდა და ბურთს ხელი დაჰკრა. მამინდელი წესებით სადაო დაინიშნა. ორჯერ, პენალტების დროს ჩვენს მეკარე-ჯემალ აბაიშვილს სპეციალურად პროჟექტორები მიანათეს. მაგრამ როგორღაც გავუძელით იმ ჯოჯოხეთს და სამი წუთი გოლი აღარ გასულა. ფრემ „ბურევესტნიკს" ჩემპიონობა მოუტანა. მარცხს შეგუებული მაყურებლები მალე დაშოშმინდნენ და დაჯილდოებისას ოვაციაც გაგვიმართეს.

**— ჩემპიონობისთვის მატერიალურად თუ წაგახალისეს?**

— საკავშირო სპორტკომიტეტმა 500-500 მანეთი მოგვცა, თუმცა საკმაოდაც დაგვიქვითეს.

**— იმდენი გოლი გაგქონდათ, რომ მუდამ პერსონალურად „გიჭერდნენ". შეიძლება ითქვას, რომ თქვენ აიძულეთ მეტოქეები ახალი ტაქტიკური ვარიანტი (5+1) დაემუშავებინათ. მანამდე ხომ მხოლოდ ზონურ დაცვას (6+0) მისდევდნენ.**

— მართალია, ხშირად პერსონალურ დარაჯს მომიჩენდნენ ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევისთვის ჩვენს გუნდს რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა დამუშავებული. ხშირად თანაგუნდელებიც მეხმარებოდნენ „გახსნაში". ასე რომ გოლების გატანას მაინც ვახერხებდი.

**— რა არის სადღეისოდ ჩვენში ხელბურთის უპირველესი უბედურება?**

— უმთავრესი საერთო არასტაბილური მდგომარეობაა. ჩვენი მწვრთნელების დონე საკმაოდ მაღალი კი არის, მაგრამ მაინც ეკონომიკური მხარეა გადამწყვეტი. პირველ რიგში უნდა გაუმჯობესდეს ბავშვებთან მუშაობა, რაც, სამწუხაროდ, ამჟამად ყველა სახეობის ნაკლია. გარდა ამისა, ერთ-ერთი უმთავრესია ფედერაციის მუშაობის გაუმჯობესება. თუ ეს მოხერხდა, მაშინ ეშველება საქმეს, მით უმეტეს, რომ ჩვენი ბაზების სრულად და ნაყოფიერად გამოყენებით ნამდვილად შევძლებთ ხელბურთის აღორძინებას და მოწინავე პოზიციებზე გასვლას.

გია ახალაძე.

NHL. სტენლის თასი. მეოთხედფინალი

# ეშმაკთა კერძი დათვები

5-11 მაისი

## რეინჯერზი 4:1 ვაშინგტონი

„ჩაფრებმა“ თანაქალაქელი „კუნძულელების“ დარბევის შემდეგ (4:0) არც დედაქალაქელებს აყარეს ნაკლები დღე, ოღონდ ეგაა, ზედიზედ მოგებული სათასო მატჩების რეკორდს – (11 მოგება: „ჩიკაგო“ – 1992; „მონრეალი“ – 1993) ვერ შესწვდნენ და შვიდით დაკმაყოფილდნენ. „რეინჯერზი“ ნახევარფინალში, ანუ აღმოსავლეთი გაერთიანების ფინალში „ნიუ-ჯერსის“ შეერკინება.

ვაშინგტონ კეპიტალზი — ნიუ-იორკ რეინჯერზი 0:3, 4:2. ნიუიორკელთა მეკარემ მარკ რიხტერმა მესამე უგოლო მატჩი ჩაატარა, მარკ მესიემ კი წლეულს მეექვსე შაიბა შეაგდო. „ვაშინგტონმა“ ერთი მოგება მაინც გამოგლიჯა „ჩაფრებს“ ტოდ კრიგერის ორი და ჯო ჟიუნოსა და ჯეისონ ვულის თითო გოლით.

რეინჯერზი — ვაშინგტონი 4:3. ბრაიან ლიჩმა მეხუთე გოლი შეაგდო და მცველებში ყველას გადაასწრო, ადამ გრეივზმა – მეშვიდე და „რეინჯერზი“ 1986 წლის შემდეგ პირველად გავიდა გაერთიანების ფინალში. „ვაშინგტონის“ მცველმა სილვენ კოტემ წლევანდელი სტენლის თასი 8 პასით დაასრულა.

## ნიუ-ჯერსი 4:2 ბოსტონი

„ნიუ-ჯერსიმ“ ორი საშინაო მარცხის შემდეგ ზედიზედ ოთხჯერ მოიგო, აქედან სამჯერ – სტუმრად და გაერთიანების ფინალში გავიდა, სადაც მხოლოდ ერთხელ, 1988 წელს უთამაშია.

ბოსტონ ბრუინზი — ნიუ ჯერსი დევილზი 2:4, 4:5. „ნიუ-ჯერსის“ კარში წინა ხუთშაბათს პირველად ჩადგა ქრის ტერერი და ტომ ჩორსკეს ორი გოლით „ეშმაკებმა“ პირველად სძლიეს „დათვები“, ორი დღის შემდეგ კი სტეფენ რიშემ ოვერტაიმში თავისი მეხუთე შაიბა შეაგდო და „ბოსტონს“ ვერც მცველმა რეი ბურკმა უშველა (სულ 33 გოლი და 103 პასი სტენლის თასზე) და ვერც თავდამსხმელმა ადამ ოუთსმა (წლეულს – 8 პასი).



ნიუჯერსელ „ეშმაკთა“ გამოისობით ბოსტონელ „დათვს“ რეი ბურკს ისღა დარჩენია, ოქტომბრამდე საზაფხულო ძილს მიეცეს

ნიუ-ჯერსი — ბოსტონი 2:0. „ნიუ-ჯერსის“ მოაგებინეს კორი მილენმა, ბონ კარპენტერმა და ახალბედა მეკარე მარტინ ბროდიემ, ვინც წლეულს პირველი უგოლო მატჩი ჩაატარა სტენლის თასზე.

ბოსტონი — ნიუ-ჯერსი 3:5. „ბოსტონი“ 0:3 აგებდა და ანგარიშის გათანაბრება მოახერხა, მაგრამ მაინც „ეშმაკთა“ კერძი შეიქნა: ჯონ მაკლინმა კიდევ ორი გოლი გაიტანა და „დათვები“ ოქტომბრამდე დასასვენებლად გაისტუმრა.

## ვანკუვერი 4:1 დალასი

„ვანკუვერმა“ წლეულს ოთხივე ოვერტაიმი მოიგო და თუმცა „მონრეალის“ შარშანდელ რეკორდამდე (11 დამატებითი დროიდან 10 მოგება!) ბევრი უკლია, დასავლეთი გაერთიანების ფინალში უკვე გავიდა, სადაც ან „სან-ხოსეს“ შეხვდება, ან „ტორონტოს“.

ვანკუვერ კენუქსი — დალას სტარზი 3:4, 2:1. მეკარე ენდი მუგმა და ნილ ბროტენის ორმა გოლმა წლეულს ზედიზედ მესამედ მოაგებინეს სტუმრად „დალასს“, „ვანკუვერს“ კი ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია შეაწყვეტინეს. კვირადღისთვის „კანადელებს“ ოთხიდან სამი საშინაო თამაში წაეგოთ და კიდევ წააგებდნენ, ხერჯო მომესოს ოვერტაიმში გატანილი გოლი რომ არა.

დალასი — ვანკუვერი 2:4. „ვანკუვერმა“ წლეულს შვიდიდან ექვსი თამაში მოიგო სტუმრად! პაველ ბურემ უკვე 9 გოლი შეაგდო და პირველი გოლეადორია, ტრევორ ლინდენმა – 8. დალასელებმა – მაიკ მოდანომ და დეივ განიემ შესაბამისად 7 და 5 გოლის გატანა მოასწრეს წლევანდელ სტენლის თასზე.

## სან-ხოსე 3:2 ტორონტო

სან-ხოსე სხვა ქალაქებიდან მოშორებით, კალიფორნიაშია და ამიტომაა, „ზვიგენები“ ზედიზედ სამჯერ რომ თამაშობენ შინ. ამათ კანადელი ვარსკვლავები არა ჰყავთ: ლატვიელების – ირბესა და ოზოლინშის, რუსების – მაკაროვისა და ლარიონოვის, შვედების – გარპენლოვისა და დალინის იმედად არიან, „ტორონტო“ კი ლიგის საუკეთესო სამეულის: კლარკი – გილმორი – ანდრეიჩუკისა.

სან-ხოსე შარქსი — ტორონტო მეიფლ ლიფზი 5:2, 3:8, 5:2. წინა პარასკევს ულფ დალინმა 3 გოლი გაიტანა და სულ 6 გაუხდა, მაგრამ ორი დღის შემდეგ „ზვიგენები“ მაღაზე ვერ იყვნენ, ასეთ შემთხვევებში კი მამაპაპურად აგებენ ხოლმე. დუგ გილმორმა წლევანდელი მონაგარი 19 (4+15) ქულამდე აიყვანა და ბომბარდირებში საუკეთესო გახდა, ორი გოლი დეივ ანდრეიჩუკმა შეაგდო. სამშაბათს კი კვლავ მაკაროვმა აიწყვიტა – წლეულს მეშვიდე და მერვე გოლები შეაგდო, ლარიონოვმა 3 პასი გააკეთა და 13 გაუხდა, ოზოლინშს – 9. „ტორონტო“, თუ მეექვსე თამაშშიც არ შემოეჭამა „ზვიგენებს“, მეშვიდესაც შინ გამართავს.

**სამველ ლარიბიანი**

---

## აქეთური, იქითური

38 წლის იტალიელ მა[illegible] პროსპერის 10 აპრილს საჰარის მარათონის დროს გზა აებნა და უდაბნოში დაიკარგა. ორკვირიანი [illegible] ალჟირის ქალაქ თინდუფის ჰოსპიტალისათვის [illegible] თავს კარგად გრძნობს და [illegible] ილად როდი განუცხადებია მის ცოლს მედიისთვის, ქმარი გამძლე და შეუპოვარი მყავსო!

*

47 წლის რუთ ფუქსმა, რომელიც დღესდღეობით ბუნდესთაგის წევრია, 1970-იან წლებში კი უგამოჩენილესი გდრ-ელი შუბის მტყორცნელი ქალი ყოფილა, „როიტერსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ 1972 წლიდან ზამთრის ძალისმიერი ვარჯიშების შემდეგ სხეულის ცხოველმყოფელობის აღსადგენად სისტემატურად ხმარობდა ანაბოლურ სტეროიდებს. როგორც პარლამენტარი ირწმუნება, „შშვენივრად სცოდნია, რასაც სჩადიოდა, მაგრამ ისიც ესმოდა, რომ მეტოქეებიც დოპინგზე ისხდნენ და ოდენ ვარჯიშით მათ ვერ აჯობებდა. აქამდე ბევრ ექს-გდრ-ელს ულიარებია სტეროიდების გამოყენება, მაგრამ ისინი აბა სად მოვლენ ფუქსთან, ვისაც 1972 და 1976 წლებში ოლიმპიადები მოუგია, კარიერის მანძილზე კი 6 მსოფლიო რეკორდი დაუმყარებია და 129 შეჯიბრებიდან 113-ში პირველი ყოფილა. ამ დაგვიანებული აღსარებით ჩემპიონს სპორტის განწმენდაში წვლის შეტანა ნდომებია.

*

მაისის პირველი დეკადა მართლაც რომ დანაღვლიანი გამოდგა მსოფლიო სპორტისათვის. თითქოს სენასა და რაცენბერგერის დაღუპვა არ კმაროდა, რომ ლონდონის მახლობლად, ლინგფილდ პარკის იპოდრომზე გამართულმა დოღმა ჟოკეი სტივენ ვუდი შეიწირა. ვუდი დოღის შედარებით უსაფრთხო სახეობაში — უდაბრკოლებოში ასპარეზობდა, მაგრამ ცხენიდან მაინც გადმოვარდა და გულ-მკერდი ისე შეეჭყლა, რომ სული განუტევა.

*

ისტორიული მოვლენა მოხდა ამერიკულ კეტბურთში. სამხრეთ კაროლინის ერთ-ერთ ქალაქში 8 ათასი მაყურებელი შეიკრიბა მატჩზე, რომელშიც ქალთა გუნდი — „კოლორადო სილვერ ბულითს“ (ვერცხლის ტყვიები) ვაჟთა მეორეხარისხოვანი პროფესიული ლიგის, ე.წ. ჩრდილოეთი ლიგის „ოლ სტარზს“ ეთამაშა. ვაჟებმა არ დაინდეს მანდილოსნები და 19:0 მოუგეს, მაგრამ მარცხმა დედაკაცებს ნირი ვერ წაუხდინა: ისინი წელს თურმე კიდევ 50 თამაშის გამართვას ფიქრობენ. როგორც გაირკვა, ქალებისათვის ეგზომი კადნიერება ჩაუგონებია ჰოლივუდის ფილმს, რომელშიც ეკრანიზებული მსგავსი სიუჟეტიც 1940-იან წლებში ხდება.

*

წინა პარასკევს, 6 ივნისს, ატლანტიკ-სიტიში კრივის მსოფლიო საბჭოს ვერსიით მძიმეწონოსანთა საჩემპიონო შერკინებაში ტიტულის მფლობელი, ბრიტანელი ლენოქს ლუისი ამერიკელ პრეტენდენტ ფილ ჯექსონს შეერკინა. ჩემპიონს დიდი ფორა ჰქონდა, ვინაიდან მეტოქეზე ერთი ქვით (სტოუნი) მძიმე და ხუთი გოჯით მაღალი იყო. მართლაც, ლუისმა ჯექსონი 30-ე წამზევე ნოკდაუნში გაგზავნა. იგივე ამბავი განმეორდა მე-5 და მე-8 რაუნდებში, რის შემდეგაც რეფერიმ ჩხუბი შეწყვიტა და გამარჯვება ლუისს მიანიჭა. არადა, ბრიტანელი მე-6 რაუნდში ისე გაერთო ბრძოლით, რომ გონზე გამორჩა და მეტოქეს კიდევ კარგა ხანს უშენდა მუშტებს, რის გამოც კინაღამ წაგება მოუსაჩქეს. ლუისმა ამგვარად მესამედ დაიცვა წოდება, მაგრამ ამერიკელები ღირსეულ ჩემპიონად მაინც არ მიიჩნევენ. შემდეგი შერკინება ჩემპიონს საბჭოს ნომერ პირველ ჭილასთან — ოლივერ მაკკოლთან მოუწევს.

*

მარტინა ნავრატილოვა ვერაფრით გახდა იტალიის ჩემპიონი, თუმცა კი წინა კვირაში იქ მეოთხედ იასპარეზა. ვეტერანმა ქალმა ფინალი კონჩიტა მარტინესთან 6:7, 4:6 წააგო. რაც შეეხება ჯენიფერ კაპრიატის, მას ვარჯიში განუახლებია და ივნისში დაუბრუნდება ასპარეზს.

აქეთური, იქითური

---

მსოფლიოს ჩემპიონატი

# თავის დროს გრეცკიმ და ლემიომაც ვერ შესძლეს...

ამერიკელებსა და შვედებს წინა ხუთშაბათს დანარჩენი ორი ნახევარფინალისტიც დაემატა: კანადამ შეინ კორსონის გადამწყვეტი გოლით დამთავრებამდე ოთხწუთნახევრით ადრე სძლია ჩეხეთი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად გამოდიოდა უსლოვაკებოდ. ფინეთმა თავისი ადგილი მიუჩინა ავსტრიას – 10:0. ფინელებს პროფესიონალთაგან მხოლოდ იარი კური (ლოს-ანჯელესი), იანე ლაუკანენი (კვებეკი) და კრისტიან რუუტუ (ჩიკაგო) ჰყავდათ – მათგან გულმოცემულმა ახალგაზრდებმა ნახევარფინალის პირველივე პერიოდში 6 შაიბა გაუტანეს რუსებთან ნაბრძოლ ამერიკელებს



ჩემპიონთა მწვრთნელი ჯორჯ კინგსტონი

და საბოლოოდ 8:0 მოიგეს, შვედებს კი მათს სუნდინისა (კვებეკი) და ნიკლას ლინდსტრიომის (ჩიკაგო) ყოფნამაც ვერაფერი არგო: ლუკ რობიტაილმა 3 შაიბა შეაგდო, ტურნირის საუკეთესო მეკარემ ბილ რენფორდმა კი ერთიც არ გაუშვა, კანადამ 6:0 მოიგო და ფინალში გავიდა.

მესამე ადგილისათვის მატჩში ჩემპიონატის ორი რეკორდი დამყარდა: შვედმა მცველმა მაგნუს სვენსონმა ამერიკელებს 4 გოლი გაუტანა, სულ 8 გაუხდა და გოლეადორიც გახდა და საუკეთესო მცველიც; კვებეკელმა მათს სუნდინმა 5 პასი შეასრულა და 14 ქულით (5+9) ბომბარდირობა აწაპნა ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელს, კანადელ პოლ კარიას – 12 (5+7) ან ფინელ საკუ კოივუს – 11 (5+6). შვედეთმა მოიგო – 7:2.

ფინალის 49-ე წუთზე ესა კესკინენმა თავისიანები დააწინაურა და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ფინეთი პირველად უნდა გამხდარიყო მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე ფილადელფიელმა როდ ბრინდამურმა როგორც იქნა, შეაცდინა ფინელი მეკარე იარმო მიულისი, ვინც ცოტაც და ზედიზედ მესამე უგოლო მატჩს ჩაატარებდა. ათწუთიანი დამატებით დროში გოლი აღარ გასულა, 5-5 ბულიტიდან გუნდებმა 2-2 გაიტანეს, მერე კი რობიტაილმა კიდევ ერთი შეაგდო და კანადა 1961 წლის შემდეგ პირველად, გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

კანადელმა პროფესიონალებმა მსოფლიოს ჩემპიონატებზე 1977 იწყეს გამოსვლა. მაშინ მათ თვით ფილ ესპოზიტო ჩამოუძღვათ და მას უკან NHL-ს დიდკაცობიდან რამდენიმე კაცი ყოველთვის ჰყავდათ ხოლმე. სხვადასხვა დროს მსოფლიოს ჩემპიონატებზე უთამაშიათ სტენლის თასიდან მოცლილ ვარსკვლავებს: მარსელ დიონს, მაიკ გარტნერს, ლარი რობინსონს, გი ლეფლერს, ბობ კლარკს, დერილ სიტლერს, სტივ აიზერმანს, დინო ჩიკარელის, დენის პოტვინს, მარკ მესიეს, დუგ გილმორს, დეილ ჰავერჩუკს, თეორენ ფლერის, პოლ კოფის, ელ მაკინისს, ერიკ ლინდროსს და თვით ვეინ გრეცკისა და მარიო ლემიოს, მაგრამ მხოლოდ სამჯერ გაუხდიათ კანადელები ვერცხლისა და ოთხჯერ – ბრინჯაოს პრიზიორებად.

წელს კი ჩემპიონები გახდნენ: ბილ რენფორდი (ედმონტონი), სტეფენ ფისე (კვებეკი); რობ ბლეიკი, დერილ სეიდორი (ლოს-ანჯელესი), ლუკ რიჩარდსონი (ედმონტონი), სტივ დიუშენი (სენტ-ლუისი), რობ დოლასი (ანაჰეიმი), მარკ ბერევენი (ტამპა), ივ რასინი (ფილადელფია); ჯეფ სანდერსონი, პატ ვერბიკი (ჰარტფორდი), ჯო საკიკი, მაიკ რიკი (კვებეკი), ლუკ რობიტაილი (ლოს-ანჯელესი), როდ ბრინდამური (ფილადელფია), სტივ თომასი (ნიუ-იორკ აილენდერსი), ბრენდან შენაჰანი (სენტ-ლუისი), ნელსონ ემერსონი (ვინიპეგი), ჯეისონ არნოტი, შეინ კორსონი, კელი ბუშბერგერი (ედმონტონი), პოლ კარია (შარშანდელ დრაფტში ანაჰეიმმა აიყვანა IV ნომრად, თუმცა ლიგაში თამაშს ჯერ არ ჩქარობს).

უძლიერესთა ჯგუფში დასარჩენად ბრიტანეთმა 2:5 წააგო ნორვეგიასთან და საგაისოდ თავის ადგილი მეორე ჯგუფის გამარჯვებულ შვეიცარიას დაუთმო.

ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდნენ: მეკარე ბილ რენფორდი (კანადა), მცველები მაგნუს სვენსონი (შვედეთი) და



მატს სუნდინი — ბომბარდირი



ბილ რენფორდმა თავის „ედმონტონს“ წელს ვერაფერი არგო, იტალიაში კი ჩემპიონიც გახდა და საუკეთესო მეკარეც

---

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით
ინდექსი 66441
რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალ. ჭავჭავაძის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში; ხომარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – საგამომცემლო ფირმა „მარდი“

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედკოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაჩუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)